სამეცნიერო ჟურნალი
LA REVUE SCIENTIFIQUE
THE SCIENTIFIC JOURNAL

სამართალი
და
ეკონომიკა

LE DROIT ET L'ECONOMIE
LAW AND ECONOMICS

ISSN 1987-8303

ჟურნალი რეფერირდება ტექინფორმის „ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

განთავსებულია ინტერნეტში www.tech.caucasus.net; www.tech.org.ge

№8

საქართველო-GEORGIE-GEORGIA

თბილისი-TBILISSI-TBILISI

2017

UDC(უაკ) 34-33](051.2)
ს-216

სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტი

L'INSTITUT DU DEVELOPPMENT DE DROIT

INSTITUTE OF LEGAL DEVELOPMENT

მთავარი რედაქტორი
Redacteur en chef
Editor in chief

ქართლოს ფრიდონაშვილი
Kartlos Pridonachvili
Kartlos Pridonashvili

რედაქტორები:

ნოდარ გრძელიშვილი
ვალერი მოდებაძე

Redacteurs:

Nodar Grdzelichvili
Valeri Modebadze

Editors:

Nodar Grdzelishvili
Valeri modebadze

მისამართი: 0101, ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №16
Adress : Georgia, Vaja Pshavela ave. #16, Tbilisi, 0101
Phone : (+995) 790 476075; Mmob: (+995) 595 508599
E-mail: law.economics@yahoo.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

1.ქართლოს ფრიდონაშვილი - სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის თავისებურებები საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში 4

2.ვალერი მოდებაძე - სომხეთ - საქართველოს ომი და მისი შედეგები . . 17

3. შორენა ხალვაში - ტურიზმის როლი და მნიშვნელობა რეგიონის ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაწყვეტაში 25

4. მარიამ ფრიდონაშვილი - "ქალის საქმე" ხელოვნებაში 36

5. ნინო ზურაშვილი - ეფექტიანობის შეფასების მოდელები სამშენებლო ბიზნესში 43

6. ნოდარ გრძელიშვილი - ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი მიზეზები,ფაქტორები და წონასწორული მოდელი 53

ქართლოს ფრიდონაშვილი
სამართლის დოქტორი

სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის თავისებურებები საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში

საქართველოში 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია მესამე მოსმენით იქნა მიღებული 2017 წლის 26 სექტემბერს, რომელშიც გარკვეული პოლიტიკური წრის წარმომადგენელთა აზრით, მოცემულია საპარლამენტო მმართველობის თანამედროვე დემოკრატიული მოდელი.

მმართველობის დემოკრატიული მოდელი მიუხედავად, მისი ფორმისა (საპარლამენტო, საპრეზიდენტო თუ შერეული) უნდა ემყარებოდეს უპირველეს - ყოვლისა, კონსტიტუციონალიზმის შემდეგ ძირითად პრინციპებს: ,,ძალაუფლების გამიჯვნა; შეკავება და გაწონასწორება; სახალხო სუვერენიტეტი; სახალხო წარმომადგენლობითობა; დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო; ადამიანის ძრითადი უფლებების პატივისცემა და ა.შ.“ [1] ამასთან დაკავშირებით, აღვნიშნავთ რომ კონსტიტუციონალიზმის ნებისმიერი პრინციპი ან ღირებულება თავისთავად გამომდინარეობს ან ეყრდნობა უპირველეს ყოვლისა ისეთ ფუნდამენტალურ პრინციპებს, როგორებიცაა: ძალაუფლების გამიჯვნა, შეკავება და გაწონასწორება. თუ, ეს პრინციპები კონსტიტუციაში არ არის მათი განხორციელებისათვის აუცილებელი კონსტიტუციური მექანიზმებით არჭურვილი, ისინი რჩებიან მხოლოდ ფარატინა ქაღალდზე და ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის შესაძლებლობა ერთიორად იზრდება ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან.

მონტესკიეს მოსაზრებას ,,ძალაუფლება უნდა აკავებდეს ძალაუფლებას“ და მედისონის შეკავება-გაწონასწორების სისტემას თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი აუცილებელ აქსიომებად მიიჩნევს დემოკრატიული პროცესისათვის, რომელიც თავისთავად წარმოუდგენელია სახალხო სუვერენიტეტის, სახალხო წარმომადგენლობითობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზაციის გარეშე. ერთი სიტყვით, დემოკრატია, დემოკრატიული პროცესი წარმოუდგენელია ზემოაღნიშნული კონსტიტუციონალიზმის პრინციპების გარეშე.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მესამე მოსმენით მიღებულ რედაქციაში ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ დარღვეულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და შესაბამისად, მონტესკისეული ,,ძალაუფლება უნდა აკავებდეს ძალაუფლებას“. რა კონკრეტული გარემოებები გვაძლევს ამის თქმის საფუძველს?! ამ კითხვაზე პასუხის

[1] დიმიტრი გეგენავას რედაქციით, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი 2015წ. გვ. 8.

საპოვნელად თავდაპირველად უნდა გავარკვიოთ, რომელი პოლიტიკური სუბიექტები ფლობენ ხელისუფლებასა და ძალას პირდაპირი მნიშვნელობით.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს 2017 წლის 26 სექტემბერს მესამე მოსმენით მიღებული ახალი რედაქციის 49 - ე მუხლში მოცემულია პრეზიდენტის სტატუსთან დაკავშირებით შემდეგი დებულებები:

,,1. საქართველოს პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი.

2. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

3. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში".

პრეზიდენტის მთავარსარდლის სტატუსის რაციონალური გააზრებისათვის კონსტიტუციის ამავე რედაქციიდან მკითხველს ვთავაზობთ შემდეგ ამონარიდებს:

,, მუხლი 52. პრეზიდენტის უფლებამოსილებანი

... მთავრობის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს სამხედრო ძალების მეთაურს."[2]

,, მუხლი 70 სამხედრო ძალები

..4. სამხედრო ძალები მოქმედებენ თავდაცვის მინისტრის ბრძანებით კანონით დადგენილი წესით, ხოლო საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს - პრემიერ-მინისტრის ბრძანებით"

აქვე, მკითხველის საყურადღებოდ, შენიშვნის სახით დავძენთ, რომ თავდაცვის მინისტრი ინიშნება პრემიერ-მინისტრის მიერ და შესაბამისად თავდაცვის მინისტრი შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით, არ არის თავისუფალი საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებაში.

,,მუხლი 71. საგანგებო და საომარი მდგომარეობა

1.საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის ან მისი უშუალო საფრთხის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებებს დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის საომარი მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან. პარლამენტი გადაწყვეტილებას ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.

2. მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი

[2] http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/announcements-all/announcements-main/parlamentis-riggareshe-sxdomaze-mesame-mosmenit-migebuli-konstituciuri-kanonis-proeqt

არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ამ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან. პარლამენტი გადაწყვეტილებას ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა“...

,, მუხლი 72. სამხედრო ძალების გამოყენება

1.საგანგებო მდგომარეობის დროს სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე. გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის, აგრეთვე ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერ - მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ.

2. საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ.

3. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადადგილების გადაწყვეტილებას მთავრობის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ“.

საქართველოს 1995 წლის 29 აგვისტოს უახლოესი რედაქციის მუხლობრივი ამონარიდებიდან შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიჩნეულია მთავარსარდლად, მაგრამ მთავარსარდლის უფლებამოსილებების მატარებლად კი, რატომღაც პრემიერ-მინისტრი გვევლინება. საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წინასწარი თანხმობის გარეშე მოკლებულია მთავარსარდლის ყოველგვარი ფუნქციის განხორციელებას.

დემოკრატიული პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მთავარსარდლის სტატუსის კონსტიტუციურ რეგლამენტაციას

კონსტიტუციონალიზმის კრიტერიუმებითა და პარამეტრებით, რადგანაც შეიარაღებული ძალების თავმოყრა ერთი ადამიანის კონტროლის ქვეშ არის ტოტალიტარიზმის ან დიქტატურის დამყარების საფრთხის მატარებელი, ამიტომაც ამ საფრთხეს დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციები აღნიშნულ საფრთხეს მთავარსარდლის სხვადასხვა გზით დაბალანსებით ანეიტრალებენ. მაგალითად, საპარლამენტო მმართველობის მქონე გერმანიაში საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა გადადის ფედერალური კანცლერის ხელში, მაგრამ გერმანიის პრეზიდენტი ნიშნავს და ათავისუფლებს ოფიცრებსა და უნტეროფიცრებს... როგორც ვხედავთ, გერმანიის პოლიტიკური სამართლებრივი სისტემა მთავარსარდლად მოიაზრებს კანცლერს (გერმანიის მთავრობის მეთაური), მაგრამ კანცლერი არ მონაწილეობს ოფიცერთა კორპუსის ფორმირებაში და მას არ შეუძლია ოფიცერთა უმაღლეს სამხედრო თანამდებობებზე დანიშვნა და გათავისუფლება, ეს უკვე გერმანიის პრეზიდენტის პრეროგატივაა. ე.ი. გამოდის, რომ პრეზიდენტი და კანცლერი (გერმანიის პრემიერ-მინისტრი) მთავარსარდლობის საკითხში ერთმანეთს აწონასწორებენ. ასე მაგალითად, თუკი, კანცლერი მოინდომებს საკუთარი ხელისუფლების გაზრდას კონსტიტუციის დარღვევით და შეიარაღებული ძალების გამოყენებით, სავარაუდოდ იგი ამ გეგმას ვერ განახორციელებს, რადგანაც ოფიცრებს არ გააჩნიათ სათანადო მოტივი, რომ დაემორჩილონ კანცლერის - მთავარსარდლის უკანონო ბრძანებებს, რადგანაც მათ დანიშვნა - გათავისუფლებას წყვეტს პრეზიდენტი. გარდა ამისა, ლოგიკურად შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის კანცლერს არ შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი გუნდი გერმანიის შეიარაღებულ ძალებში.

1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის 26 სექტემბერს მესამე მოსმენით მიღებულ რედაქციაში კონსტიტუციური ნორმების კოლიზია და მთავარსარდლის უფლებამოსილებების მითვისება - მიტაცება ქვეყნის კონსტიტუციურ რანგში პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის მიერ აშკარაა. გარდა ამისა, აუცილებლად ხაზგასასმელია ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომ საქართველოს პრეზიდენტს არ ექვემდებარება არცერთი ძალოვანი უწყება. შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საქართველოს დაზვერვის სამსახური იმყოფებიან პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში. კედევ ერთხელ ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოში არ არსებობს ძალოვანი უწყება რომელიც ექვემდებარება საქართველოს პრეზიდენტს. პრეზიდენტს, რომელიც მოქმედი და ახალი რედაქციის მქონე კონსტიტუციის მიხედვით, მიჩნეულია მთავარსარდლად და სახელმწიფოს მეთაურად, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტად.

ყოველივე ზემოარნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციის მესამე მოსმენით მიღებულ რედაქციაში ძალთა

ბალანსი დარღვეულია პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის სასარგებლოდ. პრემიერ - მინისტრის ხელში თავმოყრილია ყველა ძალოვანი უწყება თავისი ოპერატიულ - სამძებრო სამსახურებით, რაც რაღა თქმა უნდა, პრემიერ - მინისტრს აძლევს უაღრესად დიდ ძალაუფლებას ასეთ მოცემულობაში პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობის მიზანშეწონილობასაც კითხვის ნიშნის ქვეშ სვავს, რადგანაც კონსტიტუციით მთავარსარდლის ასეთი სახით დამკვიდრება ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში ფარისევლობას წარმოადგენს კონსტიტუციონალიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ.

სახელისუფლებო დანაწილების სისტემაში პარლამენტს, როგორც უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს წამყვანი ადგილი უკავია, ვინაიდან მისი მეშვეობით ხდება სახალხო სუვერენიტეტისა და სახალხო წარმომადგენლობითობის, როგორც კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპების რეალიზება. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო მმართველობის მქონე ქვეყნებში სწორედ რომ პარლამენტი აყალიბებს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს რგოლს - მთავრობას.

დემოკრატიის თეორიის მიხედვით, ხელისუფლების წყაროდ მიჩნეულია ხალხი. ამ თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა ხალხის მიერ საკუთარი ძალაუფლების გადაცემის პროცესი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოსთვის, რადგანაც შემდეგ ეს უკანასკნელი მონაწილეობს, ან უშუალოდ აყალიბებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და სასამართლო ხელისუფლებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარლამენტი ეს არის ის სახელისუფლებო ორგანო, რომელიც ხალხის მიერ არჩევნების გზით ,,ბოძებულ“ ძალაუფლებას საკუთარი შეხედულებით ანაწილებს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა სუბიექტს შორის ძირითადი და მიმდინარე კანონმდებლობის მიღების გზით. ამიტომ, თვით პარლამენტის ფორმირების წესსა და საფუძვლებს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა შემდგომი დემოკრატიული პროცესისა და სახელმწიფო ხელისუფლების განაწილების პრინციპის რეალიზაციის თვალსაზრისით. შესაბამისად, რამდენადაც გონივრულად და კონსტიტუციონალიზმის პრინციპების დაცვით არის ჩამოყალიბებული უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო - პარლამენტი, იმდენად ეფექტურია ხალხის ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინება სახელისუფლებო და მმართველობითი ორგანოების მიერ. ამასთან დაკავშირებით, დავძენთ რომ ქვეყანაში პოლიტიკურ - სამართლებრივი სისტემის მუშაობის ეფექტურობა შეიძლება პირდაპირ დავუკავშიროთ საარჩევნო სისტემებს. ჩვენ ერთმნიშვნელოვნად მომხრე ვართ, რომ ქვეყანაში გამოყენებულ იქნეს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა წარმომადგენლობითი ხელისუფლების ჩამოსაყალიბებლად. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში კავშირი ამომრჩეველსა და ასარჩევ კანდიდატს შორის მყარია, მაშინ როდესაც საქართველოში მოქმედი პროპორციული საარჩევნო სისტემა საერთოდ გამორიცხავს ტექნიკურად, საარჩევნო კამპანიაში და გამარჯვების შემთხვევაშიც

კი, კონკრეტული დეპუტატის პასუხისმგებლობასა და ურთიერთობას კონკრეტული საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან, რადგანაც მთელი ქვეყნის ტერიტორია მიჩნეულია ერთ საარჩევნო ოლქად. ესე იგი, პროპორციული საარჩევნო სისტემის მოქმედებისას ირღვევა სახალხო წარმომადგენლობითობის პრინციპი.

მაჟორიტარი კანდიდატები უშუალოდ ატარებენ საარჩევნო კამპანიას, ამომრჩევლებს სთავაზობენ საკუთარ პოლიტიკურ პლატფორმას, აცნობენ სამომავლო გეგმებს და აძლევენ დაპირებებს. დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატებს შორის გამართული პოლემიკა კი ამომრჩეველს საშუალებას აძლევს გააკეთოს გონივრული არჩევანი. ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაში თითოეულ კანდიდატს უფრო მეტად საკუთარი და არა სხვისი ავტორიტეტით აქვს გამარჯვების იმედი განსხვავებით, პროპორციული საარჩევნო სისტემით მონაწილე კანდიდატისგან. შესაბამისად, თავისი კომპეტენტურობისა და ბიოგრაფიის წყალობით გამარჯვებული კანდიდატი ძალიან ძნელად თუ მოექცევა სხვისი თუნდაც, საკუთარი პარტიის ლიდერის გავლენის ქვეშ ვინაიდან, მისი საკანონმდებლო ორგანოში არჩევა პირველ რიგში პირადი დამსახურებაა. სწორედ ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში მაჟორიტარული სისტემის არსებობის შემთხვევაში პარტიის ლიდერის ინტერესს წარმოადგენს, რომ რაც შეიძლება მეტი ავტორიტეტული პროფესიონალი მიიწვიოს პარტიის რიგებში, რადგანაც მისი წარმატება დამოკიდებულია კომპეტენტურ და წარმატებულ ადამიანებზე. შესაბამისად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა პარტიულ ლიდერსა და პარტიის წევრს შორის, სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურსა და დეპუტატს შორის აყალიბებს საქმიან, პარტნიორულ და არა მოვალესა და მევალის მსგავს ურთიერთდამოკიდებულებას. მსგავსი ვასალური ურთიერთობები პარტიის რეიტინგულ ლიდერსა და დეპუტატობის კანდიდატს შორის გვხვდება პროპორციულ საარჩევნო სისტემაში. ამომრჩეველი საქართვლოში მოქმედი პროპორციული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში ხმას აძლევს არა კონკრეტულ დეპუტატობის კანდიდატს არამედ - პარტიას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ პარტიის ლიდერს, მაგრამ პარტიის ლიდერის ინტერესებში შედის, რომ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მას ჰყავდეს მორჩილი დეპუტატთა ჯგუფი, რისი მიღწევის საშუალებასაც მას პროპორციული სისტემა აძლევს. ამიტომაც, არსებობს უაღრესად დიდი რისკი (და ხშირად ასეც ხდება), რომ პარტიის ლიდერმა პარტიული სიის დიდი ნაწილი დააკომლექტოს არაფრით გამორჩეული და არაკომპეტენტური ადამიანებით. პროპორციული საარჩევნო სისტემით შექმნილი საპარლამენტო უმრავლესობა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურისათვის არის საკანონმდებლო პროცესზე გავლენისა და საკონტროლო ფუნქციების დაკნინების ეფექტური საშუალება.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2017 წლის 26 სექტემბერს მესამე მოსმენით მიღებულმა რედაქციამ 37 -ე მუხლის მეორე პუნქტით მოქმედი რედაქციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შერეული საარჩევნო სისტემა ჩაანაცვლა პროპორციული საარჩევნო სისტემით, სადაც ნათქვამია, რომ ,,...პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან.“

პარტიის ლიდერის - მომავალი პრემიერ-მინისტრის ავტორიტეტის წყალობით, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საპარლამენტო უმრავლესობა ირჩევს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს და მონაწილეობს პრეზიდენტის არჩევაშიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი მასთან დავალებული საპარლამენტო უმრავლესობის მეშვეობით, არაპირდაპირი წესით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია, შეასბამისად მას ვერ განვიხილავთ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის საპირწონე კონსტიტუციით გათვალისწინებულ პოლიტიკურ სუბიექტად.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2017 წელს მესამე მოსმენით მიღებული ახალი რედაქცია სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებითაც გვთავაზობს გარკვეულ ნოვაციებს, რომლებიც ჩვენი აზრით, ნეგატიური ხასიათისაა და ემიჯნება კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს. კერძოდ, კონსტიტუციის აღნიშნული რედაქციის მესამოცე მუხლის მიხედვით:

,,1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 10 წლის ვადით განწესებული 9 მოსამართლისაგან, რომელთაგან 3 მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 მოსამართლეს სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი, ხოლო 3 მოსამართლეს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.“

ცხრა წევრიანი საკონსტიტუციო სასამართლოს სამ-სამი წევრის დანიშვნა სხვადასხვა სახელისუფლებო შტოს მონაწილეობით ნიშნავს მათ მიერ ვალდებულების აღებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულებისათვის, მაგრამ წინამდებარე მსჯელობებიდან გამომდინარე აქ საკითხი დგება შემდეგნაირად: არიან კი ერთმანეთისგან სათანადოდ, კონსტიტუციონალიზმის პრინციპებისა და კრიტერიუმების მიხედვით გამიჯნული ერთმანეთისაგან პრეზიდენტი როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, პარლამენტი როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელი და უზენაესი სასამართლო

როგორც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი?! რა თქმა უნდა არა, რადგანაც პრეზიდენტი როგორც უკვე აღვნიშნეთ უუფლებოა და ძირითადად აირჩევა კონტროლირებადი პრემიერ-მინისტრის საპარლამენტო უმრავლესობით (იხ.საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქცია).[3] საქართველოს პრეზიდენტი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატურების წარდგენაში აღარ მონაწილეობს, მის ნაცვლად მოსამართლეების კანდიდატურებს საქართველოს პარლამენტს წარუდგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომლის ჩამოყალიბებაშიც გარკვეულწილად ისევ საპარლამენტო უმრავლესობა მონაწილეობს. რეალურად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ნაწილი თანამდებობაზე ინიშნება პრემიერ-მინისტრის მიერ არაპირდაპირი წესით. ამ ყველაფერთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ, აგრეთვე ის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციით იზღუდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება საარჩევნო დავებთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს აღარ აქვს უფლებამოსილება ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობაზე იმსჯელოს. ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო იუსტიციის არსებობისა და ფუნქციონირების მიზანს წარმოადგენს საპარლამენტო უმრავლესობის გაწონასწორება საკანონმდებლო აქტების საკონსტიტუციო კონტროლის მეშვეობით. საპარლამენტო უმრავლესობის შეკავება - გაწონასწორება ვერ ხერხდება აგრეთვე უშუალო დემოკრატიის ისეთი ფორმით, როგორიცაა რეფერენდუმი, იმიტომ რომ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 52-ე მუხლის მეორე პუნქტის დისპოზიციით იკრძალება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ...

ერთი სიტყვით, საქართველოში სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბება დიდწილად დამოკიდებულია პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული, დაუბალანსებელ პრემიერ-მინისტრს მორალურად და კანონითაც დაქვემდებარებულ საპარლამენტო უმრავლესობაზე. საპარლამენტო მმართველობაში სახელისუფლებო დანაწილებისა და ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების პრინციპიდან გამომდინარე პრინციპული მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტის სრულფასოვან მონაწილეობას სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებაში. მეტიც, თანამედროვე დემოკრატიებში სადაც საპარლამენტო მმართველობა მოქმედებს, პრეზიდენტის ინსტიტუტი სასამართლო სისტემისათვის სახელისუფლებო წყაროსაც კი წარმოადგენს. ასე მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მესამოცე მუხლის მიხედვით,

[3] http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/announcements-all/announcements-main/parlamentis-riggareshe-sxdomaze-mesame-mosmenit-migebuli-konstituciuri-kanonis-proeqt

,,(1) ფედერალური პრეზიდენტი, რამდენადაც კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნიშნავს და ათავისუფლებს ფედერალურ მოსამართლეებს, ფედერალურ მოხელეებს, ოფიცრებს და უნტეროფიცრებს.

(2) კონკრეტულ შემთხვევებში იგი ფედერაციის სახელით ახორციელებს შეწყალების უფლებას“[4]...

საპარლამენტო მმართველობის მქონე ისრაელშიც, ქვეყნის პრეზიდენტი უშუალოდ და პირდაპირ მონაწილეობს სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებაში. 1964 წლის 16 ივნისს მიღებული ძირითადი კანონის ,,სახელმწიფოს პრეზიდენტი'' მეთერთმეტე მუხლის მეექვსე პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს პრეზიდენტი

,,6. კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს მოსამართლეებსა და სხვა თანამდებობის პირებს.

ბ) სახელმწიფოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გაათავისუფლოს პატიმრები და შეუმციროს მათ სასჯელის ვადა“[5]...

საპარლამენტო მმართველობითი სისტემა მოქმედებს აგრეთვე ესტონეთში, სადაც პრეზიდენტის ინსტიტუტი აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებით სასამართლო ხელისუფლების ჩამოსაყალიბებლად. 1992 წლის 28 ივნისის რეფერენდუმზე მიღებული ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 78-ე მუხლის 13-ე პუნქტის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტი

,,13. სახელმწიფო სასამართლოს წინადადებით ნიშნავს მოსამართლეებს“.

საკონსტიტუციო კონტროლის ესტონურ ვარიაციად შეიძლება მივიჩნიოთ იუსტიციის კანცლერის ინსტიტუტი, რომელიც გათვალისწინებულია ესტონეთის კონსტიტუციის მეთორმეტე თავში. ამ ინსტიტუტის მიმართ ჩვენი ყურადღების გამახვილება გამოწვეულია იუსტიციის კანცლერის დანიშვნის წესითა და მისი უფლებამოსილებებით:

,,მუხლი 140. იუსტიციის კანცლერს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით შვიდი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიო კრება.

იუსტიციის კანცლერის გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 141. იუსტიციის კანცლერი თავისი კანცელარიის ხელმძღვანელობისას სარგებლობს იმავე უფლებებით, რითაც აღჭურვილია მინისტრი სამინისტროს ხელმძღვანელობისას. იუსტიციის კანცლერს შეუძლია სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის სხდომებში.

---

[4] პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, თბილისი 2006წ. გვ. 88.

[5] პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II, თბილისი 2008წ. გვ. 434.

მუხლი 142. თუ იუსტიციის კანცლერი დაასკვნის, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგებაკონსტიტუციას ან კანონს, ის სთავაზობს აქტის მიმღებ ორგანოს ოცი დღის ვადაში მოიყვანოს იგი შესაბამისობაში კონსტიტუციასთან ან კანონთან.

თუ ოცი დღის ვადაში აქტი არ იქნება მოყვანილი შესაბამისობაში კონსტიტუციასთან ან კანონთან, იუსტიციის კანცლერი სახელმწიფო სასამართლოს მიმართავს აქტის იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადების თაობაზე.

... მუხლი 145. იუსტიციის კანცლერი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში შეიძლება მიეცეს მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით სახელმწიფო კრების უმრავლესობის თანხმობით."[6]

ესტონეთის კონსტიტუციიდან წარმოდგენილი ამონარიდების მიხედვით, ქვეყნის პრეზიდენტის ინსტიტუტი წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების წყაროს და ორივე ერთად კი, არის ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის ეფექტური საპირწონე.

საპარლამენტო მმართველობის მქონე ქვეყნებში პრეზიდენტის უშუალო ინტერესს წარმოადგენს ლოგიკურად, რომ შეაკავოს საპარლამენტო უმრავლესობა და მთავრობა საპრეზიდენტო უფლებამოსილებების შეკვეცა-მითვისებისაგან, რაშიც მას სჭირდება ძლიერი, დამოუკიდებელი და ავტორიტეტული საკონსტიტუციო იუსტიცია და საერთო სასამართლოების სისტემა. შესაბამისად, სასამართლოს ხელისუფლებაც დაინტერესებული უნდა იყოს საპარლამენტო მმართველობაში პრეზიდენტის სათანადო სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნებაში. მიგვაჩნია, რომ მმართველობის საპარლამენტო ფორმაში პრეზიდენტი სახელისუფლებო კრიზისის შემთხვევაში ვერ შეასრულებს მის უმთავრეს სამედიატორო ფუნქციებს, ვერ გაამართლებს და ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტიას.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელისუფლებო ორგანოთა სისტემაში, რომელიც მოცემულია 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციაში, არ არის გაწონასწორებული საპარლამენტო უმრავლესობა და შესაბამისად არ არის დაბალანსებული აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის - პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, რომელიც იქვემდებარებს ყველა ძალოვან უწყებას, რაც თავისთავად მიუთითებს ქვეყანაში ერთმნიშვნელოვნად ავტოკრატიული მმართველობის დაკანონებაზე ქვეყნის ძირითადი კანონით.

---

[6] პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, თბილისი 2006წ. გვ. 275.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2017 წლის მესამე მოსმენით მიღებული რედაქცია;
3. საქართველოს 1996 წლის 31 იანვრის ორგანული კანონი ,,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ";
4. კოჭლამაზაშვილი ბადრი, კონსტიტუციის სამრთლებრივი დაცვა, თბილისი 2009 წ.;
5. ლოვო ფილიპ, თანამედროვე დიდი დემოკრატიები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2002წ.;
6. შაიო ანდრაშ, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი 2003წ.;
7. შვარცი ჰერმან, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, თბილისი 2003წ.
8. დიმიტრი გეგენავას რედაქციით, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი 2015წ.
9. პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, თბილისი 2006წ.
10. პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II, თბილისი 2008წ.
11. Jean Gicquel, jean-Eric Gicquel, Droit constitutionnel et institutions politiques, 29-e edition,LGDJ, 2015an.

ვებ გვერდი:

12.http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/announcements-all/announcements-main/parlamentis-riggareshe-sxdomaze-mesame-mosmenit-migebuli-konstituciuri-kanonis-proeqt

ქართლოს ფრიდონაშვილი
სამართლის დოქტორი

სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის თავისებურებები საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში

რ ე ზ ი უ მ ე

წარმოდგენილ სტატიაში ავტორი მიმოიხილავს 1995 წლის 24 აგვისტოს 2017 წლის რედაქციაში სახელმწიფო ხელისუფლების განაწილებისა და ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების პრინციპს კონსტიტუციონალიზმის სხვა ღირებულებებთან ერთად. პუბლიკაციაში გადმოცემული მოსაზრებების თანახმად, უხეშად არის დარღვეული ზემოაღნიშნული პრინციპები პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის სასარგებლოდ. გარდა ამისა, სტატიაში მითითებულია კონსტიტუციის პროექტში კოლიზიურ ნორმებზე მთავარსარდლის სტატუსთან დაკავშირებით, რომლებიც არღვევენ ძალთა ბალანსს და პრემიერ-მინისტრს უქვემდებარებენ ყველა ძალოვან უწყებას. ეს გარემოებები ერთის მხრივ, პრემიერ-მინისტრს აქცევენ ავტოკრატიულ მმართველად, მეორეს მხრივ, ირღვევა კონსტიტუციის ამავე რედაქციის მეოთხე მუხლის მესამე პუნქტი, სადაც განმტკიცებულია ხელისუფლების განაწილების პრინციპი: ,,სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით''.

Kartlos Pridonashvili

Peculiarities of restriction the state power in Georgia's political system

Resume

In the presented article the author reviews the principles of distribution and reconciliation the balance of state power together with other values of constitutionalism outlined in the new 2017 drafting of the constitution dated August 29 of 1995. According to the reflections designated in the publication, the above mentioned principles are rudely violated for the benefit of the institute of Prime Minister. It is also argued that the indicated norms in the draft of the constitution come into collision with the status of the Supreme Commander-in-Chief which breaks the balance of power and subordinate all power institutions to the Prime Minister.

On the one hand these circumstances lead the Prime Minister to become an autocratic leader, on the other hand, the article 4 paragraph 3 in the same edition of the Constitution is broken, where the principle of distribution of power is enforced: "State government is based on the principle of separation of power."

Kartlos Pridonachvili

Les particularités de la restriction du Pouvoir d' Etat dans le système Politique de la Géorgie

R é s u m é

L'auteur commente dans l'article présenté le principe de rétention et d'équilibre avec des autres valeurs du constitutionnalisme dans la nouvelle rédaction de 2017 année de la constitution daté le 29 août de l'année 1995.

Selon, les réflexions désignées dans la publication, les principes ci-dessus sont violés rudement au profit de l'institut du Premier-Ministre.

Outre cela, dans l'article il est indiqué sur les normes constitutionnelles qui sont en collision en rapport avec statut du chef d'Armée. Ces normes constitutionnelles font basculer l'équilibre des forces et des puissances. Tous les départements forts sont soumis au Premier-Ministre de la Géorgie et le Président se retrouve hors les jeux politiques géorgiens et il se fait que le décor pour le système politique géorgien.

Ces circonstances susmentionnées font le Premier-Ministre autoritaire d'un part et d' autre part violent le point troisième de l'article quatre de la rédaction de l'année 2017 de la constitution daté le 29 août de l'année 1995, ou se trouve affermissement du principe: ,, le pouvoir d' Etat est effectué à l' appui du principe de la division des pouvoirs¨.

ვალერი მოდებაძე
საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული პროფესორი, კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტი

სომხეთ - საქართველოს ომი და მისი შედეგები

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ წამოიჭრა ტერიტორიული პრეტენზიები სომხეთსა და საქართველოს შორის. სომხეთში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ულტრანაციონალისტურმა პარტიამ - დაშნაკცუთიუნმა, რომლის მთავარი მიზანი „დიდი სომხეთის“ შექმნა იყო. ამ პარტიის ლიდერები თვლიდნენ, რომ კავკასიაში არსებული სომხებით დასახლებული ყველა ტერიტორია სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში უნდა შესულიყო. 1918 წლის 9 დეკემბერსსომხეთის არმიამ დაიწყო საბრძოლო მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ ომის გამოცხადების გარეშე. სომეხთა შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად შემოვიდნენ და ქართველი მესაზღვრეების მცირე რაზმები სანაინთან გაანადგურეს. (საქართველოს ეროვნული აკადემია, 2006) ამის შემდეგ სომხეთის შეიარაღებული ძალები ბორჩალოს მაზრაში შეიჭრნენ და საქართველოს დედაქალაქის ასაღებად დაიძრნენ. სომეხთა ჯარს სათავეში ედგა გენერალი დრასთამათ კანაიანი.საქართველოს მთავრობამ სასწრაფო ზომების გატარება დაიწყო და ფრონტის ხაზზე ჯავშანმატარებლები და საჯარისო ნაწილები გაგზავნა, მაგრამ მტერი მომზადებული აღმოჩნდა და მცირერიცხოვანმაქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა ვერ მოახერხა კარგად გაწვრთნილი და მობილიზებული სომხურიარმიის დიდი ხნით შეკავება. ქართველებმა დაიწყეს ორგანიზებულად უკან დახევა. 18 დეკემბრისთვის სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა მთლიანად დაიპყრეს ლორეს პროვინცია და თბილისის ასაღებად ახალი შეტევები წამოიწყეს. სომხები თბილისს სამი მხრიდან უტევდნენ. ბრძოლები თბილისიდან 60 ვერსის დაშორებით მიმდინარეობდა. სომხეთის მთავრობამ ნოე ჟორდანიას წაუყენაულტიმატუმი ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების დაცლის შესახებ. სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ოფიციალური ტელეგრამა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სომხეთის მთავრობა საქართველოს დემოკრატიული მთავრობისგან მოითხოვს ტერიტორიის დაცლას გორისა და თბილისის ჩათვლით. (საქართველო - სომხეთის საზღვრიდან დაწყებული გორისა და თბილისის ჩათვილით.) საქართველოს მთავრობას ჰქონდა მცდელობა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოეგვარებინა კონფლიქტი, არაერთი კონსტრუქციული წინადადებით მიმართა ერევანს, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

16 დეკემბერს ნოე ჟორდანია საქართველოს პარლამენტში მოხსენებით გამოვიდა და პარლამენტარებს ფრონტზე შექმნილი ვითარება გააცნო. პარლამენტმა მოიწონა მთავრობის მტკიცე პოზიცია შეეჩერებინა სომხეთის აგრესია ქართული შეიარაღებული ძალების დახმარებით. მეორე დღეს ცნობილი

გახდა, რომ სომხების რკალში მომწყვდეულმა ქართველმა მესაზღვრეებმა მტრის ალყის გარღვევა მოახერხეს დ სამშვიდობოს გავიდნენ. თუმცა ტყვედ აყვანილი 5 ქართველი მესაზღვრე სომხეთში დახვრიტეს. ქვეყანაში მობილიზაცია გამოცხადდა და დაიწყეს 1892 – 1895 წლებში დაბადებული ახალგაზრდების ჯარში გაწვევა. მთავრობა მოსახლეობას სახალხო რაზმების შექმნისაკენ მოუწოდებდა. მათ სტრატეგიული ობიექტები, ხიდები და მაგისტრალები უნდა გაეკონტროლებინათ. ([lampacafe] 2011)18 დეკემბერს დაშნაკების არმიამ ისარგებლა ნისლიანი ამინდით, მთებიდან დაეშვა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სადახლოსთან შეუტია. რამოდენიმესაათიანი ბრძოლების შემდეგ სომხეთის არმიამ უკან დაიხია. იმავე დღეს თბილისში ჩამოიყვანეს სადახლოში აყვანილი 60 სომეხი ტყვე. სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა მოწოდება გაუგზავნა გორის, ხაშურის, შორაპანის, ქუთაისის, სამტრედიის, თელავის, სიღნაღის, სართიჭალის სახალხო გვარდიის შტაბებს. მოწოდებიდან ცნობილი ხდება, რომ ქვეყნის შიგნით აჯანყებების ტალღამ იფეთქა. სომეხი მოსახლეობა აჯანყდა. თბილისელი სომხები ომის მომხრე იყვნენ და ომის გაგრძელებას უჭერდნენ მხარს, ამიტომაც იმ პერიოდში ქართულ საზოგადოებაში ანტი-სომხური განწყობა სუფევდა. ([lampacafe] 2011)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმმა ჩაატარა ჩხრეკა თბილისში და თბილისელი სომხების ბინებიდან ამოიღო დიდი რაოდენობით იარაღი. გაირკვა რომ სომხებს თბილისში დაგეგმილი ჰქონდათ ამბოხების მოწყობა. თბილისი მაშინ დიდი არეულობისაგან და კონფლიქტისაგან იხსნა იმან, რომ ქართველი ოფიცრები გაგზავნილი იყვნენ კახეთში ჯარის შესაკრებად.დექალაქში შემოვიდა 500 კახელი ცხენოსანი. სომხები დაფრთხნენ და ვეღარ გაბედეს ამბოხება. დედაქალაქის გარდა, სომხებით დასახლებულ რეგიონებშიც გავრცელებული იყო ღალატის ფაქტები. მაგალითად, ბორჩალოს სომხობა ომის პერიოდში საქართველოს ხელისუფლებას დაუპირისპირდა. მათ სადახლოში მოქმედ ქართულ რაზმს ზურგიდან დაარტყეს. საქართველოს მთავრობამ აჯანყება სასტიკად ჩაახშო და სეპარატისტულად განწყობილი სომხების ქართული ტერიტორიებიდან აყრა დაიწყო. (presa.ge, 2011) სომხები დიდი რაოდენობით დივერსიულ აქტებს აწყობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. მაგალითად, მათ 19 დეკემბერს ძეგვის ხიდი ააფეთქეს, რითაც საქართველოს არმიას მომარაგების პრობლემები შეუქმნეს.

19 დეკემბერს დაიწყო მძაფრი ბრძოლები სომხებსა და ქართველებს შორის. სომხეთის ჯარი ყველა ბრძოლაში დამარცხდა. 20 დეკემბერს საქართველოს სახალხო რაზმები ალავერდს გასცდნენ და სომხებით დასახლებული ორი სოფელი დაიკავეს. ეროვნული გვარდია სოფელ ვორონცოვკაში შევიდა.

რაც შეეხება მესხეთს, ამ რეგიონში სომხებმა შეტევა ორჯერ განახორციელეს დიდი ძალებით, 16 დეკემბერს და 20 დეკემბერს. 1918 წლის 16 დეკემბერსსომხეთის რეგულარული არმიის ნაწილებმა ახალქალაქის მაზრის

საზღვრები გადაკვეთა და დუხობორებით დასახლებული რამოდენიმე სოფელი დაიკავა - ტროიცკოე, ეფრემოვკა, გორელოვკა და ბოგდანოვკა. ახალქალაქის მისადგომებთან ბრძოლები გაიმართა გენერალ მაყაშვილის საჯარისო ნაწილებსა და სომხეთის შეიარაღებულ ძალებს შორის. ქართველებმა შესძლეს სომხების იერიშების შეკავება და შემდეგ სომხეთის საჯარისო ნაწილების მესხეთის ტერიტორიიდან განდევნა. გენერალმა მაყაშვილმა შესძლო სომხების მიერ ოკუპირებული ახალქალაქის მაზრის განთავისუფლება. 20 დეკემბერს სომხებმა კიდევ ერთხელ სცადეს მესხეთის დაპყრობა, მაგრამ დიდი დანაკარგების გამო შეტევა შეწყვიტეს. მტერმა სრული მარცხი განიცადა მესხეთში და ვერ შესძლო ამ ძირძველი ქართული კუთხის ოკუპაცია. ნოე ჟორდანიას მთავრობას საკმაოდ დიდი ჯარი ჰყავდა განთავსებული მესხეთში (დაახლოებით ექვსი ათასი ჯარისკაცი) და ამიტომაც მტერმა ვერ შესძლო თავისი მზაკვრული გეგმის განხორციელება ამ მხარეში. ([საპატრიარქოს ტელევიზია ერთსულოვნება], 2014)

საქართველოს მთავრობამ დაიწყო კონკრეტული ზომების მიღება სომხეთის აგრესიის აღსაკვეთად და მოსახლეობაში შემდეგი შინაარსის მოწოდება გაავრცელა: „მახვილი ამართულია! ვერაგ მტრის თავდასხმას ჩვენი ჯარი მამაცურად იგერიებს. მომზადებულ და ყველაფრის გათვალისწინებულ მტერს ჩვენი მხრივ მოუმზადებელი მოწინააღმდეგე ხვდება. მდგომარეობა უსწოროა, მაგრამ რაინდობაც ამ უსწორობისათვის არის საჭირო.“ ([lampacafe] 2011)საქართველოს მთავრობა მოუწოდებდა ყველას , რომ სამშობლო დაეცვათ სომხეთის აგრესიისაგან. მთავრობამ ასევე უბრძანა ჯარის ნაწილებს და რესპუბლიკის გვარდიას, რომ დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინათ სომხების მიერ ოკუპირებული ქართული ტერიტორიები.

პარლამენტიდან საქართველოს მოსახლეობას რესპუბლიკის მეთაურმა ნოე ჟორდანიამ მიმართა. მიმართვაში ნათქვამია: “სომხების მთავრობა მალულად, ჩუმად, ჩვენ საქართველოს რესპუბლიკას თავს დაესხნენ, ეხლა ირკვევა აშკარად, რომ მან, ან მისმა აგენტებმა ჯერ მოატყუეს სომხური სოფლები აჯანყებით, შემდეგ ეს თითზე დაიხვიეს და თავისი რეგულიარული ჯარები ჩვენ საზღვრებში შემოიყვანეს. ამითი სომხეთის მთავრობამ დაარღვია საუკუნოებრივ შემუშავებული კეთილმეზობლური განწყობილება. მან ლახვარი ჩასცა როგორც ქართულ, ისე სომხის ხალხის ისტორიულ ტრადიციას. მათ შორის არასოდეს ომიანობა არა ყოფილა, და აი ეხლა, ამ მთავრობამ ორივე ხალხი ჩაითრია ამ სამარცხვინო საქმეში. თუ კი საშუალო საუკუნოებში, იმ ბარბაროსულ დროს, ორივე ერის მთავრობა ახერხებდა უომრად, მეგობრულად ცხოვრებას, რა მოხდა დღეს მე-20 საუკუნეში, რომ სომხების მთავრობა ომის გზას დაადგა, ჩაიდინა დიდი ისტორიული დანაშაულობა და ეს დანაშაულობა დარჩება წაურეცხელი ისტორიულ შავ ფურცლებზე..“(გაზეთი „საქართველო“, 1918) სომხეთის მთავრობამ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს სრულიად განსხვავებული შეფასება მისცა. არარატის მთავრობა საქართველოში დაწყებულ ომს სახალხო

მოძრაობასუწოდებდა. სომხური გაზეთები და მას მედია სოფელ სანაინში ქართველი ჯარისკაცების დახოცვას სახალხო აჯანყებადაფასებდა. ერთ-ერთი სომხური გაზეთი „აშხატავორი“ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს დამახინჯებულად და მიკერძოებულად აღწერდა. „აშხატავორის“ თანახმად კონფლიქტის მიზეზი იყო არა სოხეთის ტერიტორიული პრეტენზიები, არამედ ომს სულ სხვა მიზეზები ჰქონდა. სომხური გაზეთი ასე აღწერს ომის მიზეზებს: “ ეს იყო საპროტესტო გამოსვლების ტალღა და მასში სომხეთის მთავრობა არ ერეოდა, მაგრამ როდესაც ქართველმა ჯარმა შეავიწროვა და შეაწუხა ადგილობრივი სომხობა, სომხეთის მთავრობა დაეხმარა მას, დაიბრუნა უკან უსამართლოდ წართმეული ტერიტორიადა ჩვენ ამ საქციელში ვერ ვხედავთ ვერაფერს, რასაც შეიძლებოდეს მოღალატეობის და მუხანათური თავდასხმის სახელი ვუწოდოთ, როგორც ამას საქართველოს მთავრობა სჩადის...“([lampacafe]. (2011, აგვისტო 27) ასეთი სტატიებით დაშნაკცუთიუნის მთავრობა ცდილობდა გაემართლებინა საქართველოზე მუხანათური თავდასხმა და შეცდომაში შეეყვანა სომეხი მოსახლეობა. სომხური მას-მედია ღიად მოუწოდებდა საქართველოში მცხოვრებ სომხებს აჯანყებისაკენ, ცდილობდა გაეღვივებინა შუღლი და მტრობა ქართველებსა და საქართველოში ჩამოსახლებულ სომხებს შორის.

22 დეკემბერს ფრონტის წინა ხაზზე მთელი ღამე სიმშვიდე იყო. საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა საიდუმლო მობილიზაცია დაიწყეს, ჯარში გასაწვევ ახალგაზრდებს პირდაპირ სომხეთში გზავნიდნენ.24 დეკემბერს დაიწყო გააფთრებული ბრძოლები სომხებსა და ქართველებს შორის. არარატის რესპუბლიკის სამხედრო ქვედანაყოფებმა ძლიერი კონტრშეტევა წამოიწყეს. მათ ზურგს ადგილობრივი სომხური მოსახლეობა უმაგრებდა, რომელსაც აიარაღებდა და წვრთნიდა სომხეთის არმია. ერთი მხრიდან ქართულ არმიას სომხეთის რეგულარული ნაწილები უტევდა, ხოლო ზურგიდან აჯანყებული სომეხი მოსახლეობა უწყობდა დივერსიულ აქტებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. სომხებმა მწყობრიდან ტელეგრაფი და რკინიგზა გამოიყვანეს. ომის გამო ურთიერთობა ორ მეზობელ ქვეყანას შორის იმ დონემდე დაიძაბა, რომ სომხეთის ელჩმა საქრთველოს დედაქალაქი დატოვა.

საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში დაიწყეს მოხალისეთა რაზმების შეკრება და ფრონტის ხაზზე გაგზავნა. 25 დეკემბერს ფრონტის ხაზზე წასასვლელად თბილისს თელავის საგუბერნიო ბატალიონი ეწვია. 26 დეკემბერს ომში წასასვლელად თბილისში გორიდან 500 კაციანი რაზმი ჩამოვიდა. მას მოჰყვა რაჭველთა და ლეჩხულემთა სამიათასკაციანი ლაშქარი. რაზმის მეთაურს, დვალს შოთა რუსთაველის დროშა ეკავა, რომელზეც ოქროსფერი ასოებით ეწერა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.“ 28 დეკემბერს მთავრობის განკარგულებით დაიწყო მოხალისეთა ახალი რაზმების ფორმირება. მთავრობის დადგენილებით ყველა მოხალისეს უნარჩუნდებოდა სამსახური, დაღუპვის შემთხევაში კი მათ ოჯახებს პენსია ენიშნებოდა.

კატერინენფელდის მახლობლად სასტიკი ბრძოლები გაიმართა. 29 დეკემბერს ქართულმა ჯარმა შესძლო შულავერის განთავისფულება. მტერმა დიდი ზარალითა და ბრძოლით უკან დაიხია. ომის დროს ტყვედ ჩავარდა ასი სომეხი ჯარისკაცი და 7 ოფიცერი. მტერმა დიდი დანაკარგი და მატერიალური ზარალი ნახა.ქართველებმა ხელთ იგდეს 4 ზარბაზანი, 15 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე საარტილერიო საწყობი და მრავალი საომარი მანქანა. 30 დეკემბერს შულავერის აღების შემდეგ ქართული არმიის სარდლობას ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის დელეგაციამ პატიება სთხოვა. დაპატიმრებულ იქნა 7 სომეხი ოფიცერი, ბრძოლებში დაიღუპა 106 სომეხი ჯარისკაცი. 31 დეკემბერს ქართული არმია ღრმად შეიჭრა სომხეთის ტერიტორიაზე, სოფელ ვორონცოვკას 20 ვერსით გასცდა. სომხეთის არმიამ სრული მარცხი განიცადა საქართველოში და სწრაფი უკანდახევა დაიწყო. სომხეთის მთავრობა პანიკამ მოიცვა და ერევნის თავდაცვისათვის მზადებას შეუდგა.დაშნაკების თავდასხმა მალე თავდაცვად იქცა. სომხეთი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებას ნებისმიერ დროს შეეძლო შეეყვანა საჯარისო ნაწილები სომხეთის ტერიტორიაზე. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში სომხეთს „მფარველ ანგელოზად“ მოევლინა ინგლისის მთავრობა. ინგლისელები რომ არ ჩარეულიყვნენ და არ შეეჩერებინათ ქართული ჯარი, სომხებს ალბათ ერევნის დათმობაც მოუწევდათ. სომხეთის ჯართან შედარებით ქართული არმია გაცილებით უფრო ბრძოლისუნარიანი და ძლიერი აღმოჩნდა. როგორც კი ინგლისელებმა დაინახეს რომ სომხეთის სრული კრახი ამ ომში გარდაუვალი იყო, მაშინვე კატგორიულად მოსთხოვეს საქართელოს მთავრობას რომ 31 დეკემებრს 12 საათზე დაესრულებინა საომარი მოქმედებები.

6 იანვარს საქართველოს მთავრობამ დროებითი ზავის პირობები მიიღო. ფოთიდან თბილისში 600 ინგლისელი ჯარისკაცი ჩამოვიდა. ინგლისელთა დელეგაციის ხელმძღვანელის, პოლკოვნიკ ჯორდანოს მოთხოვნით ლორე ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა.ინგლისმა ამ პერიოდიდან დაიწყო ანტი-ქართული ქმედებების გატარება. ვინაიდან საქართველოს მთავრობას კარგი ურთიერთობები ჰქონდა გერმანიასთან, ამიტომ ინგლისი მტრულად იყო განწყობილი ნოე ჟორდანიას მთავრობის მიმართ. ინგლისის ხელისუფლება აშკარად სომხეთს უჭერდა მხარს ქართულ-სომხური კონფლიქტის დროს და ცდილობდა დაესაჯა საქართველო პროგერმანული ორიენტაციის გამო, რომელიც ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ აირჩია დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან.

1919 წლის 1 იანვარს ინგლისის ჯარები შევიდნენ ლორეს ტერიტორიაზე და ეს რეგიონი „ნეიტრალურ ზონად“ გამოაცხადეს. 1919 წლის 9 იანვარს ქალაქ თბილისში დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოსა და სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. მოწინააღმდეგე მხარეები შეთანხმდნენ საზავო პირობებზე და მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ლორეს ნეიტრალური ზონის

ადმინისტრაცია შერეული, ქართულ -სომხური იქნებოდა. (საქართველოს ეროვნული აკადემია, 2006) 1919 წლის 22 იანვარს გაფომრდა საზავო ხელშეკრულება საქართველოსა და სომხეთს შორის, რომლის თანახმადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე და შეიქმნა ლორეს ნეიტრალური ზონა. ამ ხელშეკრულების თანახმად ქართული ჯარი ინარჩუნებდა იმ ტეროტორიებს, რომლის განთავისუფლებაც მან 31 დეკემბრის 12 საათამდე მოახერხა.

ოთხკვირიანმა სამხედრო კონფლიქტმა დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა ორივე მხარეს: დაიღუპა ათასობით ადამიანი, სერიოზულად გართულდა და დაიძაბა ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობა. არც ნოე ჟორდანიას მთავრობა და არც სომხეთის ხელისუფლება არ იყო კმაყოფილი ხელშეკრულების პირობებით. საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (ლორეს პროვინცია), რომელიც მის შემადგენლობაში შედიოდა ომის დაწყებამდე. თუმცა სომხეთმა შესძლო ტერიტორიის მცირე ნაწილის მიერთება (ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი), დაშნაკცუთიუნის მთავრობა მაინც უკმაყოფილო იყო ომის შედეგებით. დაშნაკების მოლოდინი არ გამართლდა და მათ ვერ შესძლეს იმ ტერიტორიების დაპყრობა, რომელზედაც პრეტენზიები გააჩნდათ (ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრა, თბილისი.) სომხეთის ულტრანაციონალურმა ძალებმა ვერ შესძლეს თავიანთი ოცნებისათვის ფრთები შეესხათ. მათ ვერ შესძლეს ახალქალაქის მაზრისა და მესხეთის დაპყრობა და ზღვაზე გასასვლელის მოპოვება.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს ეროვნული აკადემია (2006) სრულიად საქართველოს სომხურენოვანი მოსახლეობა და საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის აღორძინების შუქ-ჩრდილები და პრობლემები, თბილისი.
2. [lampacafe].(2011, აგვისტო 27) სომხეთ საქართველოს ომი 1918, [Video File]. Retrieved fromhttps://www.youtube.com/watch?v=F0j-GXfCSQo&t=247s
3. [საპატრიარქოს ტელევიზია ერთსულოვნება]. (2014, ნოემბერი 20)საქართველო - სომხეთის სამამულო ომი - ისტორიის გაკვეთილი, [Video File]. Retrieved fromhttps://www.youtube.com/watch?v=6wnL1i0_tYc
4. presa.ge (2011) საქართველო-სომხეთის ომი (საბრძოლო ისტორიიდან), http://www.presa.ge/new/?m=military&AID=11193
5. გაზეთი „საქართველო“ (1918)№243. გვ. 2. სვეტი 1, 2, 3.

ვალერი მოდებაძე
საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული პროფესორი, კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტი

სომხეთ - საქართველოს ომი და მისი შედეგები

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სომხეთ-საქართველოს ომი და მისი გამომწვევი მიზეზები. ასევე გაანალიზებულია საბრძოლო ოპერაციები, ომის მსვლელობა და მისი შედეგები. 1918 წლის 9 დეკემბერს სომხეთის არმიამ დაიწყო საბრძოლო მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ ომის გამოცხადების გარეშე. თავდაპრველად სომხებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ შემდეგ, ომის დასკვნით ეტაპზე ქართველებმა შესძლეს სომხების იერიშების მოგერიება და დიდი კონტრშეტევა წამოიწყეს. სომხეთის არმიამ სრული მარცხი განიცადა საქართველოში და სწრაფი უკანდახევა დაიწყო.ასეთ კრიტიკულ ვითარებაში სომხეთს „მფარველ ანგელოზად“ მოევლინა ინგლისის მთავრობა. როგორც კი ინგლისელებმა დაინახეს რომ სომხეთის სრული კრახი ამ ომში გარდაუვალი იყო, მაშინვე კატგორიულად მოსთხოვეს საქართველოს მთავრობას რომ 31 დეკემბრს 12 საათზე დაესრულებინა საომარი მოქმედებები. 1919 წლის 22 იანვარს გაფომრდა საზავო ხელშეკრულება საქართველოსა და სომხეთს შორის, რომლის თანახმადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე და შეიქმნა ლორეს ნეიტრალური ზონა.

Valeri ModebadZe

Associate professor of International Relations at Caucasus International University

Armenian – Georgian war and its consequences

Summary

This article discusses Armenian-Georgian war and its causes. The combat operations, the main events of the war and the consequences of the warare also analyzed. On December 9, 1918, the Armenian army invaded Georgia without the declaration of war. Initially Armenians achieved great success, but then, at the final stage of the war Georgians managed to repel the attacks of Armenians and started a big counter-attack. The Armenian army suffered a complete failure in Georgia and began to retreat rapidly. In such a critical situation, the Government of England became "a patron angel"for Armenia. As soon as the Englishmen saw that the complete collapse of Armenia was inevitable in

this war, they demanded from the Georgian government to finish the war on December 31at 12 o'clock. On 22 January 1919 a ceasefire agreement was signed between Georgia and Armenia under which opponents agreed to terminate hostilities and establish a neutral zone of Lore.

Valeri Modebadze

professeur agrégé de relations internationales à l'Université internationale du Caucase

La guerre arménienne-géorgienne et ses conséquences

Résumé

Cet article traite de la guerre arméno-géorgienne et de ses causes. Les opérations de combat, les principaux événements de la guerre et les conséquences de la guerre sont également analysés. Le 9 décembre 1918, l'armée arménienne envahit la Géorgie sans la déclaration de guerre. Au départ, les Arméniens ont réussi à réussir, mais à la dernière étape de la guerre, les Géorgiens ont réussi à repousser les attaques des Arméniens et ont commencé une grande contre-attaque. L'armée arménienne a subi un échec complet en Géorgie et a commencé à reculer rapidement. Dans une situation aussi critique, le gouvernement de l'Angleterre est devenu «un ange patron" pour l'Arménie. Dès que les Anglais ont vu que l'effondrement complet de l'Arménie était inévitable dans cette guerre, ils ont demandé au gouvernement géorgien de terminer la guerre le 31 décembre à 12 heures. Le 22 janvier 1919, un accord de cessez-le-feu a été signé entre la Géorgie et l'Arménie en vertu duquel les opposants ont convenu de mettre fin aux hostilités et d'établir une zone neutre de Lore.

შორენა ხალვაში
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

ტურიზმის როლი და მნიშვნელობა რეგიონის ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაწყვეტაში

ტურიზმის განვითარების და უცხოელი ტურისტების მოზიდვის კუთხით საქართველო რეგიონში მოწინავე ადგილზეა.წლიდან წლამდე იზრდება უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა და შესაბამისად, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების წილი ქვეყნის მშპ-ში. საქართველოში ჩამოსული ვიზიტორები, გარდა დედაქალაქისა, სტუმრობენ იმ რეგიონებსაც, სადაც მეტ-ნაკლებად განვითარებულია ტურისტული ინფრასტრუქტურა,მაგრამ ტურისტული კომპანიების და ხელისუფლების მეტი ძალისხმევის შედეგად, უფრო აქტიური ხელშეწყობის პირობებში შესაძლებელია რეგიონებში გაცილებით მეტი ტურისტის მოზიდვა, რომლებიც არა მარტო დაათვალიერებენ კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლებს, არამედ სურვილი გაუჩნდებათ გაზარდონ თავიანთი ვიზიტის ხანგრძლივობა.საგარეო ტურიზმთან ერთადმნიშვნელოვანია გაიზარდოს შიდა ტურიზმის მასშტაბებიც. მაგ. აშშ-ში მოქალაქეთა 80% მოგზაურობს ქვეყნის შიგნით და ამისთვის შექმნილია ყველა პირობა სახელმწიფოს მინიმალური მონაწილეობით[5, გვ.54],რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. საქართველოში მოქმედი ტუროპერატორები უპირატესობას ანიჭებენ საგარეო ტურიზმს, რაც მეტი შემოსავლების მიღების საშუალებას აძლევს მათ. მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრაციისა და შიდა ტურიზმის განვითარების აუცილებლობა დღეს ეჭვს არ იწვევს. მძიმედ და ნელა ვითარდება შიდა ტურიზმი, რაც პირველ რიგში ეკონომიკური მიზეზებითაა განპირობებული. დასაქმებულ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ მეტი ფინანსური შესაძლებლობები დასასვენებლად და სამოგზაუროდ, დრო არ აქვთ. სატრანსპორტო მომსახურების სიძვირე, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები, დასასვენებელი დროის სიმცირე, ტრადიციული ტურისტული ობიექტების დახურვა ან უფრო ძვირადღირებულ ობიექტებად გადაკეთება და. ა.შ. ხელს უშლის ადამიანებს იმოგზაურონ და დაისვენონ თუნდაც ქვეყნის შიგნით.მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის დასვენება მხოლოდ ნათესავებთან და ახლობლებთან სტუმრობით არის ხელმისაწვდომი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 9.3 % დადის საქართველოს კურორტებზე დასვენების და გართობის მიზნით. იმ ადამიანების რაოდეობა, რომლებიც ნათესავებთან ან მეგობრებთან ისვენებენ არის 48.5%. სხვადასხვა მიზნებით (მკურნალობა, განათლების მიღება, მომლოცველობა და ა.შ.) მოგზაურობს დაახლოებით მოსახლეობის 40%.[2] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების ხარისხი

საქართველოში მკვეთრად ჩამოუვარდება ევროპულ და მსოფლიო სტანდარტებს. ეს ალბათ წარსულის მძიმე მემკვიდრეობაა, როცა მომსახურების სფერო კონკურენციის არარსებობის პირობებში ვითარდებოდა. ის არ იყო მორგებული მომხმარებელთა რეალურ მოთხოვნებზე, არამედ ბრძანებებზე და ზემოდან მიღებულ დირექტივებზე. სუსტი იყო საერთაშორისო კავშირებიც და ამიტომ, ხარისხიანი მომსახურების მიღება საქართველოში ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს. მაღალი ფასები, მომსახურების დაბალი დონე, ინფრასტრუქტურის გაუმართაობა უბიძგებს ბევრ ადამიანს საზღვარგარეთ დაისვენოს.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის2016 წლის მეოთხე კვარტლის სტატისტიკური ანგარიშისთანახმადგასულ წელს ქვეყანას 6,360,503 უცხოელი ეწვია, რაც წინა წლის მონაცემებს 7.8%-ით აღემატება.[1]სხვადასხვა შეფასებებით საქართველოს ტურისტული ბაზრის პოტენციალი წელიწადში 8-12 მილიონ ადამიანს შეადგენს, თუმცა ამ პოტენციალის სრულად გამოყენება რათქმაუნდა არ ხდება. საქართველოს უნიკალური, მრავალფეროვანი ბუნება, ხელსაყრელი კლიმატური პირობები, უამრავი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ქმნის ხელსაყრელ პირობებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე განვითარდეს ტურისტული ინფრასტრუქტურა და ტურიზმი გახდეს რეგიონებისთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო. ადგილობრივ ბიუჯეტში გაზრდილი შემოსავლები, დასაქმებული მოსახლეობა, განვითარებული საგზაო, კომუნალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურა დადებითად აისახება ბევრი ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონის განვითარებაზე. რეგიონების დონეზე ტურიზმის განვითარების ეკონომიკური სარგებელი თვალნათლად ჩანს ბევრი სახელმწიფოს მაგალითზე. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება არა მარტო განვითარებული დასავლეთის ქვეყნები, არამედ ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიც. ტურიზმის მნიშვნელობა დიდია ქვეყნებში მოსახლეობის დასაქმების კუთხითაც. სპეციალისტების შეფასებით, მსოფლიოში სხვადასხვა დოზით და სხვადასხვა დონეზე ყოველი მეთექვსმეტე სამუშაო ადგილი ტურიზმთანაა დაკავშირებული.

მნიშვნელოვანი რესურსი რეგიონებში ტურიზმის განვითარებისთვის არის ბუნებრივი ღირსშესანისნაობების გამოყენება. ეს პირველ რიგში ეკოტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. ტურიზმის ეს სახეობა სულ უფრო მზარდი პოპულარობით სარგებლობს. ეს არის განსხვავებული კონცეფცია ტურისტულ ინდუსტრიაში, როდესაც სერვისების მოხმარება მინიმალურია. ეკოტურიზმის განვითარება აქტუალურია იმ რეგიონებისთვის სადაც არ არის განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, მაგრამ შენარჩუნებულია ხელუხლებელი ბუნება და ეგზოტიკური ბუნებრივი გარემო. ტურიზმის ეს სახეობა არ მოითხოვს დიდ ინვესტიციებს, ადამიანური რესურსის განსაკუთრებულ მომზადებას, ძვირადღირებული სასტუმროების და გასართობი დაწესებულებების აშენებას. ეკოტურისტები უპირატესობას ბუნებაში დასვენებას და ბუნებასთან მაქსიმალურ

სიახლოვეს ანიჭებენ. ისინი არ ითხოვენ კომფორტს და განსაკუთრებულ საცხოვრებელ პირობებს, რაც ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დიდ ხარჯებს არ მოითხოვს.

ასევე, რეგიონებისთვის ბოლო დროს აქტუალურია ე.წ. „ალტერნატიული ტურიზმი„-ს განვითარება, რომლის განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშანი არის მომსახურების მასშტაბების სიმცირე, ადგილობრივი მენეჯმენტის და კაპიტალის დიდი წილი, ტურისტების სპეციფიკური კონტიგენტი. ალტერნატიული ტურიზმის განვითარებაშეიძლება ისეთ რეგიონებში, რომლებიც არ გამოირჩევიან განსაკუთრებული ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით, მაგრამ შენარჩუნებულია ცხოვრების ძველი სტილი და მოშორებულია ცივილიზაციას. ტურიზმის ეს სახეობაც არ მოითხოვს განსაკუთრებული ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ეფუძნება ძირითადად ტურისტების სურვილს - ახლოს გაეცნონ ცხოვრების პრიმიტიულ სტილს, დროებით მოწყდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ცივილიზაციას და „შეერწყან“ადგილობრივ კულტურას. ასეთი სახის ტურიზმის განსავითარებლად შეიძლება დაცარიელებული სოფლების გამოყენება, სადაც იქნება მინიმალური საცხოვრებელი პირობები. ასეთ ადგილებში ტურისტების მოზიდვა გამოიწვევს მიმდებარე სოფლების მოსახლეობის ირიბად ჩართვას ტურისტულ საქმიანობაში.

რეგიონებში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს ერთჯერადი და ყოველწლიური ფესტივალების გამართვა. ტურიზმის ეს სახეობა იმით არის მიმზიდველი, რომ მოკლევადიან პერიოდში შესაძლებელია დიდი შემოსავლის მიღება. ასეთი სახის ღონისძიებების სწორად დაგეგმვა გულისხმობს ტურისტების დიდი ნაკადის უზრუნველყოფას პირველ რიგში საცხოვრებლით და კვებით; სწორი და გონივრული სარეკლამო კომპანიის წარმოებას; სპეციალური საფესტივალო ატრიბუტიკის მიწოდებას; ადგილობრივი მოსახლეობის სწორად ინფორმირებულობას. ეს უკანასკნელი არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში, კერძოდ ანაკლიაში, ჩატარებული ფესტივალის მაგალითზე ნათლად გამოჩნდა, რომ მოსახლეობის არაინფორმირებულობის ან არასწორად ინფორმირების გამო ფესტივალი წარუმატებელი გამოდგა.

საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ასევე რეგიონალური ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება კინო ტურიზმის განვითარება იქცეს. ცნობილია, რომ მოგზაურთა დიდი ნაწილი ირჩევს სამოგზაუროდ იმ ქვეყანას, რომელიც ფილმში ნახა. შეიძლება უამრავი მაგალითის მოყვანა, როცა ფილმის მეშვეობით მოპოვებული პოპულარობის შედეგად ესა თუ ის ქვეყანა ან კონკრეტული ადგილი ტურისტულად საოცრად მომგებიან ადგილად იქცა. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ახალი ზელანდიაა, სადაც ტრილოგიის „ბეჭდების მბრძანებელი“ და „ჰობიტი“-ს ნახვის შემდეგ უამრავი ტურისტი ჩადის. ასევე ინგლისში „ალნიკის ციხე“, სადაც „ჰარი პოტერი“-ს ნახვის შემდეგ დამთვალიერებელთა რაოდენობა 120%-ით გაიზარდა.

შოტლანდიაში „მამაცი გული“-ს ნახვის შემდეგ ტურისტების რაოდენობა 300%-ით გაიზარდა და ა.შ. შეუძლება უამრავი მაგალიტის მოყვანა. [9]

რეგიონებში ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმების პრობლემის მოგვარებას, რადგან მომსახურების სფეროს განვითარება მოითხოვს ადამიანურ რესურსებს, ამასთანავე მოთხოვნადია ყველანაირი კვალიფიკაციის პერსონალი. ასევე, ადგილობრივ მოსახლეობას მათი საცხოვრებელი სახლების და ნაკვეთების ხელსაყრელი მდებარეობის პირობებში შეუძლიათ საკუთარი საცხოვრებელი სახლების გადაკეთება საოჯახო ტიპის სასტუმროებად, რაც მათ მეტი შემოსავლის მიღების საშუალებას მისცემს.

ტურიზმი - როგორც რეგიონალური განვითარების ფაქტორი

ტურიზმის განვითარებასა და რეგიონალურ განვითარებას შორის არსებობს ორმხრივი კავშირი: ერთის მხრივ, ტურიზმი შესაძლოა გახდეს რეგიონალური განვითარების მთავარი ფაქტორი და პირიქით. სწორი რეგიონალური ან სახელმწიფო პოლიტიკის დანერგვით შესაძლებელია რეგიონის განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ტურიზმის გავლენაზე რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე არსებობს სხვადასხვა შეხედულება. ერთ-ერთი ასეთი მიდგომა ითვალისწინებს იმას, რომ ტურიზმის განვითარება ყოველთვის არ ახდენს პოზიტიურ გავლენას რეგიონალურ განვითარებაზე. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ტურიზმის განვითარებისთვის ინვესტიციები გარედან ხორციელდება. შესაბამისად, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილიც, ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას მოხმარდეს, გაედინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. განვითარებულ ქვეყნები დიდ შემოსავლებს ღებულობენ ტურიზმიდან. საწყის ეტაპზე, როცა საჭიროა ამათუ იმ რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, შესაძლოა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რამაც თავის მხრივ, სხვა - ტურიზმთან დაკავშირებული დარგების განვითარება უნდა გამოიწვიოს. ამას მოჰყვება შემოსავლების ზრდა, რაც ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას უზრუნველყოფს. [6, გვ.3]

დღესდღეობით მოგზაურობა და ტურიზმი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ინდუსტრიად მიიჩნევა. ყოველწლიურად იზრდება იმ სამუშაო ადგილების რაოდენობა, რომელიც დაკავშირებულია ტურიზმთან ან სამოგზაურო ბიზნესთან. ბოლო წლებში განსაკუთრებით შესამჩნევია ტურიზმის მომხმარებლური მოდელის ევოლუცია. ეს არის ტურიზმის სტანდარტული მოდელიდან, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო (ინტერნაციონალურ) ინდუსტრიაზე,შედარებით მრავალფეროვან, ბუნების დაცვაზე ორიენტირებულ ფორმაზე გადასვლა, სადაც, სხვა ფაქტორებთან ერთად გათვალისწინებულია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, რაც არის ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი იმისთვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ტურიზმის გაუთვალისწინებელი შედეგები.

ტურიზმი ვითარდება დროსა და სივრცეში. ამიტომ მხედველობაში მისაღებია ტურიზმის განვითარების ისტორიული ეტაპების თანმიმდევრობა, რომლის დროსაც ვლინდება მისი გავლენა ბუნებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოზე. რადგან ტურიზმი ჩართულია საბაზრო ურთიერთობებში, მისი კომპონენტებიც როგორიცაა - ტურისტების მიღების ორგანიზება, ტურისტული რეგიონების ინფრასტრუქტურა და.ა.შ. უნდა ფუნქციონირებდნენ საბაზრო სქემების შესაბამისად. ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობების განვითარების სისწრაფე ტურიზმის ევოლუციის ტემპებს განსაზღვრავს და პირიქით, ტურიზმის სწრაფი განვითარება ხელს უწყობს ადგილობრივი რეგიონალური ბაზრის ფორმირებას. აქედან გამომდინარე, ტურიზმი განხილულ უნდა იქნას როგორც მომსახურებებისკომპლექსი,რომლებიც დაკავშირებულია სხვა რეგიონალურ ინსტიტუტებთან და ამავე დროს არის საქმიანობის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც ტურიზმის სფეროში ნაციონალური პოლიტიკის და საერთაშორისო ბაზრის ურთიერთობებს გამოხატავს. ამასთანავე, ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ტერიტორიებისკეთილმოწყობისათვის, რადგან იძლევა საშუალებას შეიქმნას ახალი პროფესიები, რაც ახალ სამუშაო ადგილებს ნიშნავს. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს რეგიონებში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობის ზრდას, მატერიალური კეთილდღეობის ზრდას და აჩერებს მიგრაციის პროცესს. ასევე აღსანიშნავია, რომ ტურიზმის სწრაფი განვითარება მხოლოდ იმ პირობებშია შესაძლებელი, როდესაც ის მისაღებია ადგილობრივი მოსახლეობისთვის. [6, გვ. 5]

პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მომსახურების სფეროს, ეკონომიკის ე.წ. „მესამე სექტორი“-ს მზარდი განვითარება, რომელიც დღითიდღე დასაქმების სულ უფრო მზარდ და მთავარ პროვაიდერს წარმოადგენს. ამიტომ,მომსახურების სფეროს როლი ქვეყნების მშპ-ის შემადგენლობაში სულ უფრო მეტად იზრდება. რეგიონებში ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება ამ სფეროში საქართველოს შემთხვევაში შესაძლოა ერთადერთი გამოსავალიც კი იყოს უმუშევრობის დაძლევის და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით.

განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ტურიზმის განვითარებას გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

- იქმნება ახალისაწარმოები და სამუშაო ადგილები;
- ბიუჯეტში ხდება დამატებითი შემოსავლების შედინება;
- ადგილობრივი წარმოების პროდუქციისათვის იქმნება ახალი გასაღების ბაზარი;
- ხდება მოძველებული ინფრასტრუქტურის, ასევე კომუნალური მომსახურების ობიექტებისა და სამსახურების მოდერნიზაცია და ახლის შექმნა;
- ჩნდება ახალი პროფესიები და ტექნოლოგიები;

- იზრდება სოციალური ინტეგრაციის დონე. ხდება საზოგადოების მიერ გარე სამყაროსა და კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებისა და მათი დაცვის აუცილებლობის საფუძვლიანობის გაგება;
- მთლიანად ქვეყანაში იზრდება მომსახურების სფეროს როლი, რაც ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

რეგიონებში ტურიზმის განვითარების, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით ტურისტულ რეგიონებში დადებით როლს შეასრულებს ტურისტული კლასტერების ჩამოყალიბება. ეს არის ტურისტული ბაზრის მდგრადი, შეუქცევადი განვითარების გარანტია, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტული ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. კლასტერი პრაქტიკულად შეიძლება არსებობდეს ეკონომიკის ყველა დარგში. მისი ტურიზმის სფეროში ფართოდ გამოყენებით შესაძლებელიაუფრო მეტი უცხოელი ტურისტის მოზიდვა, რადგან ამისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ შეთავაზებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. აუცილებელია რომ მომსახურების დონე აკმაყოფილებდეს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს. ტურისტული კლასტერები ტურისტულ კომპანიებს საშუალებას მისცემს უცხოელ ტურისტებს შესთავაზონ მომსახურების უფრო მრავალფეროვანი სპექტრი გარდა აეროპორტში დახვედრისა, ტრანსპორტით მომსახურებისა, კვებისა სხვადასხვა ღირსშესანიშნაობების მონახულებისა. განასხვავებენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ და ახალ კლასტერებს. საქართველოში ჩამოყალიბების პროცესშია ტურიზმის კლასტერი, რომლის სწორი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებასაც დიდად შეეწყობა ხელი.[7, გვ. 28-36]

არსებული სტატისტიკა და მომავლის პერსპექტივები

მოგზაურობის და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (VTTC) მონაცემებით ეკონომიკაში ტურიზმის წილის მიხედვით საქართველო მსოფლიოში მე-17-ე ადგილზეა. ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუციის მიხედვით რეგიონში საქართველო პირველ ადგილზეა. ასეთივეა მდგომარეობა ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით. VTTC--ს 2016 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოში ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანად დასაქმებულთა 20%-ს შეადგენს. ასევე, საქართველო მშპ-ში ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუციის მიხედვით მე-17-ე ადგილზეა, ხოლო მთლიანი წილის მიხედვით-25-ე ადგილზე, რაც რეგიონში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებში უცხოელი ვიზიტორების წილი 79%-ია, ხოლო შიდა ტურისტების-20,5%.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით საქართველოში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების წილი 2016 წელს მშპ-ის შემადგენლობაშიშეადგენს 7.6%-ს. ეს მაჩვენებელი წინა წლების მონაცემებთან მიმართებაში მზარდი დინამიკით ხასიათდება. [სურ.1]



საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით საქართველოს 2017 წლის აგვისტოსთვის 5,059,106 საერთაშორისო მოგზაურიეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 28,5%-ით მეტია. ვიზიტორების დიდი ნაწილი მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტები არიან, თუმცა იზრდება ვიზიტორების რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებიდანაც. ჩამოსული ვიზიტორები ნაწილდებიან თბილისსა და რეგიონებში. განსაკუთრებული პოპულარობით როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ისე ვიზიტორებში სარგებლობს აჭარის და გურიის საზღვაო კურორტები. ასევე საქართველოს უნიკალური კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, საქართველოში პოპულარულია მთის კურორტებიც. ყველა კუთხე და რეგიონი მდიდარია კულტურული ძეგლებით, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით, რაც იზიდავს ვიზიტორებს. რეგიონებში და მთლიანად ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის კუთხით ბევრი სამუშაო ტარდება. რეგიონებში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის შემუშავებულია „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017წწ. სახელმწიფო სტრატეგია“, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის რეგიონებისათვის. ყველა რეგიონისთვის შემუშავებულია მისთვის მორგებული, განსაკუთრებული მიმართულება, რაც მათ ტურისტულ პოტენციალს აამაღლებს. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონის განსახლების სისტემას, დასახლებათა ტრადიციულ არქიტექტურას, რომელიც უნიკალურია ზოგიერთ რეგიონში (სვანეთი, ხევსურეთი), და ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას. ასევე, საქართველოში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი არის „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, (სურ.2)რომელიც შემუშავებულია

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მსოფლიო ბანკისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით.აღნიშნული დოკუმენტის შექმნის მიზანია ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა, დარგის მნიშვნელობის ამაღლება საქართველოს ეკონომიკაში. დოკუმენტში დეტალურად გაიწერა კონკრეტული აქტივობები, მათი დაფინანსების წყაროები და განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები.

საბაზისო და სამიზნე ინდიკატორები. სურ.2

ინდიკატორი		2015	2025
საერთაშორისო მოგზაურები		5,901,094	11,000,000
შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან		1.9 მლრდ. აშშ დოლარი	6.6 მლრდ. აშშ დოლარი
ტურიზმის წილი მშპ-ში		6.70%	7.90%
ტურიზმთან ასოცირებულ ინდუსტრიებში სამუშაო		158,515	301,284
ვიზიტორის საშუალო დანახარჯი		328 აშშ.	600 აშშ.
გაჩერების საშუალო ხანგრძლივობა		5	7
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები		723 მლნ. აშშ დოლარი	1,178 მლნ. აშშ დოლარი
საერთაშორისო შემოსვლების სტრუქტურა	თურქეთის, უკრაინის, თურქმეწეთისა და დსთ-ს ქვეყნების წილი საერთაშორისო შემოსვლებში	92%	70%
	სხვა ქვეყნების წილი საერთაშორისო შემოსვლებში	8%	30%

ზოგადად, ქვეყანაში ვიზიტორების რაოდენობის გაზრდას ბევრ დადებით მხარესთან ერთად თან ახლავს უარყოფითი შედეგებიც. ვიზიტორთა დიდი რაოდენობა უბიძგებს ინვესტორებს ააშენონ ბევრი სასტუმრო. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, პოპულარულ კურორტებზე, ასევე დედაქალაქშიც უკონტროლოდ და ქაოტურად აშენებული სასტუმროების გადაჭარბებულმა რაოდენობამ შეიძლება ბუნებრივი რესურსების გადახარჯვა გამოიწვიოს, რასაც შესაძლოა მოჰყვეს წყლის, ჰაერის ზედმეტად დაბინძურების საშიშროება. ამასთანავე, ასეთიშენობების დიდი ნაწილი ხშირად არ შეესაბამება ადგილობრივ ლანდშაფტს და ვიზუალურადაც ამახინჯებს ტერიტორიას. რთულია მდგომარეობა მყარი ნარჩენების მართვის კუთხითაც. დაცულ ტერიტორიებზე, ეროვნულ პარკებში ავტოტრანსპორტით გადაადგილება გარკვეულ ზიანს აყენებს

ტყის საფარს და ამან შესაძლოა გამოიწვიოს არსებული ბიოლოგიური მრავალფეროვნების დარღვევა. ხშირმა ვიზიტებმა შესაძლოა დააზიანოს ისტორიული დაკულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნაწილიდა ა.შ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ქმნის უნიკალურ პირობებს მთელი წლის განმავლობაში, ოთხივე სეზონზე შესთავაზოს როგორც ვიზიტორებს, ისე ადგილობრივ მოსახლეობას საინტერესო და მრავალფეროვანი დასვენება. ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების სიმრავლე, ადგილობრივი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობა და კეთილგანწყობა, საქართველოს რეგიონების უნიკალური და ერთმანეთისაგან განსხვავებული ტრადიციები, ადათ-წესები ქმნის ოპტიმიზმის საფუძველს, რომ სწორად დაგეგმილი ტურისტული განვითარების გეგმების პირობებში ტურიზმის განვითარება დადებით გავლენას მოახდენს რეგიონების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ქმნის კიდევ უფრო მეტ სტიმულს იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს ტურიზმის სფეროს მდგრად განვითარებას და მთლიანად ქვეყანაში მომსახურების სფეროს ახალ სიმაღლეებზე აყვანას.

საქართველოს ხელისუფლებამ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ბევრ რეგიონში არის ტურიზმის ისეთი სახეობების განვითარების შესაძლებლობა, რომლებიც ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვენ. მაგრამ ამისათვის საჭიროა უფრო აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2016 წლია მეოთხე კვარტლის ანგარიში http://gnta.ge/wp-content/uploads/2015/06/2016-4-kv-geo.pdf (ბოლოს ნანახია 04.10.2017)
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები; http://geostat.ge/?action=page&p_id=1870&lang=geo (ბოლოს ნანახია 04.10.2017)
3. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“
4. „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია;
5. Валединская Е.Н. Роль и значение стратегического развития сферы услуг туризма и гостеприимствав региональной экономике (file:///C:/Users/sh.khalvashi/Downloads/rol-i-znachenie-strategicheskogo-razvitiya-sfery-

uslug-turizma-i-gostepriimstva-v-regionalnoy-ekonomike%20%20(1).pdf); (ბოლოს ნანახია 05.10.2017);
6. Роль туризма в решении некоторых актуальных проблем развития регионов в современных условиях; (по Э.Л. Вдовиной, А.В. Моськину, Е.А. Сыромясской);
7. დისერტაცია, მერაბ დიასამიძე. „ტურიზმის ინდუსტრიაში კლასტერის ფორმირება და რეგიონული ტურისტული ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლება“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
9. სტატია „დიდი კენემატოგრაფია ტურიზმში“ ავტ. ნინო ჩაკვეტაძე (ბოლოს ნანახია 05.10.2017), http://forbes.ge/blog/63/didi-kinematografia-turizmSi

შორენა ხალვაში
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

ტურიზმის როლი და მნიშვნელობა რეგიონის ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაწყვეტაში

რეზიუმე

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ბოლო წლებში საქართველოში ტურიზმის განვითარების დინამიკაზე. მართალია, საქართველოში ტურიზმი სწრაფად ვითარდება, მაგრამ საჭიროა უფრო აქტიური მუშაობა, სახელმწიფოს და კერძო საქტორის შეთანხმებულიმოქმედებებითტურიზმის სხვადასხვა სახეობების განვითარება, რაც არჩევანის საშუალებას მისცემს ტურისტებს აირჩიონ მათთვის მისაღები დასვენების ფორმა. იმაზე თუ რა ალტერნატივების შეთავაზება შეიძლება საქართველოში ჩამოსული მოგზაურებისთვისიქნება საუბარი მოცემულ სტატიაში. თუმცა, ტურისტების რაოდენობის დაუგეგმავმა და ქაოტურმა ზრდამ, შესაძლოა დადებითთან ერთად უარყოფითი შედეგებიც გამოიღოს. ტურიზმის მზარდი განვითარების დადებით მხარედ რეგიონებში შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში ხდება უცხოური ვალუტის შემოდინება, დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა, სატრანსპორტო სფეროს და ინფრასტრუქტურის განვითარება, რეკრეაციული პოტენციალის გაზრდა, მაგრამ ამ სფეროს სწრაფი და უკონტროლო განვითარება წარმოშობს გარკვეულ რისკებს პირველ რიგში გარემოსთვის მიყენებული ზიანის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, რეგიონი, ეკონომიკა, ტურისტული ინფრასტრუქტურა, ვიზიტორები, მოგზაურობა, დასვენება.

Shorena Khalvashi
Georgian Technical University, PhD studen

The role and importance of tourism in the solution of the economic development of the region

Summary

The article focuses on the dynamics of tourism development in Georgia in recent years.Although tourism is developing rapidly in Georgia, but more active work is required to develop different types of tourism through the concerted actions of the government and private sector, which will enable tourists to choose a suitable form of relaxation.This article will discuss what alternatives can be offered to travelers who come to Georgia. However, unregulated increase in the number of tourists may have negative consequences. The positive side of the rapid development of tourism is the foreign currency inflow in the local budget, elimination of unemployment, the development of infrastructure and transportation system, the strengthening of the recreational potential. But rapid and uncontrolled development of this sphere produces certain risks, in the first place it causes damage to the environment.

Shorena Khalvashi
Université Technique Géorgienne, Doctorant

Le rôle et l'importance du tourisme dans la solution du développementéconomique de la région

Résumé

L'article se concentresur la dynamique du développement du tourisme en Géorgiecesdernièresannées. Bien que le tourisme se développerapidement en Géorgie, un travail plus actifestnécessaire pour développerdifférents types de tourisme grâce aux actions concertées du gouvernement et du secteurprivé, ce qui permettra aux touristes de choisiruneforme de détente appropriée. Cet article examinera les solutions de rechangeoffertes aux voyageurs venant en Géorgie. Cependant, une augmentation non réglementée du nombre de touristespeutavoir des conséquencesnégatives. Le côtépositif du développementrapide du tourismeestl'apport de la monnaieétrangèredans le budget local, l'élimination du chômage, le développement des infrastructures et du système de transport, le renforcement du potentielrécréatif. Mais le développementrapideetincontrôlé de cettesphèreproduitcertainsrisques, en premier lieu, il cause des dommages à l'environnement.

მარიამ ფრიდონაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დოქტორანტი

"ქალის საქმე" ხელოვნებაში

კულტურული დიქოტომიების აპრიორ პრობლემატიკად, დღევანდელი სამყარო მაინც ქალისა და კაცის, გენდერის განმასხვავებელ, ხელოვნურად ჩამოყალიბებულ ნიშნებს განიხილავს. რას შეიძლება გულისხმობდეს ხელოვნურად შექმნილი სოციალურად კუთვნილი ნიშნები? კონკრეტულად ქალის შემთხვევაში ეს ერთგვარ კერძო სექტორში მუშაობას გავს, სადაც კანონებს და დღის წესრიგს კერძო პირი ადგენს და შესაბამისად მისივე განკარგულებაშია მის დაქვემდებარებში მყოფი ადამიანების ბედი. ქალის არასაზოგადოებრივი ცხოვრება მამაკაცის მიერ მონოპოლიზირებული გარემოს დამსახურებითაა, ქალის რეპროდუქციული ვალდებულებები კი პირდაპირ მიბმულია მის იზოლირებულებასა და სტატიურ მორჩილებასთან, პატრიარქალურ წყობასთან. ქალი, როგორც სხვადასხვა სტრუქტურებისგან დაქვემდებარებაში დარეგულირებული სუბიექტი, ადგენს იგივე მარეგულირებელ სისტემასა და სქემას მის გარემოცვაში (ოჯახი, მეგობრები, შვილები). შესაბამისად ეს უწყვეტი პროცესი იმაზე დიდ საფრთხეს და პრობლემას წარმოადგენს ვიდრე საზოგადოება ახდენს მის რეპრეზენტაციას.

სიმონა დე ბოვუარმა ოდესღაც აღნიშნა რომ: ქალად კი არ იბადებიან, ქალად იქცევიან. ვფიქრობ ამ შემთხვევაში იმის აღნიშნვაც ლოგიკური იქნებოდა რომ ხშირად ქალები თავად ხდებიან იმავე იდეოლოგიის გამტარებლები და გამჟღერებლები რის წინააღმდეგაც ქალები თავისი ისტორიის მანძილზე იბრძოდნენ და ქმნიდნენ ახალ რეალობას, საწყისებს. მსხვერპლი ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგად ან შიშის საფუძველზე, ან ძლიერი ზეწოლის შედეგად მიღებული სუბიექტური ჭეშმარიტებების საფუძველზე, ახდენს იგივე ზეგავლენას გარშემომყოფებზე, ქმნის იგივე რეალობას რამაც მისი ისტორიის და პიროვნების ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი როლი ითამაშა. თეთრკანიანი მამაკაცების პოზიციების გასამყარებლად, ესეც ერთ-ერთი ხელსაყრელი პირობაა, გარდა სახელმწიფო კანონებისა და სოციალური სტრუქტურებისა. რა არის საჭირო იმისთვის რომ, გარდა ბიოლოგიური სქესობრივი ნიშნებისა, შეძლო ქალად ჩამოყალიბება, აღქმა საკუთარი სქესის და მის გარშემო არსებული პრობლემებისა.

ამ საკითხებზე უამრავი თეორიები არსებობს, სოციოლოგები, მეცნიერები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ აქტიურად მუშაობან პრობლემის, როგორც შესწავლაზე ასევე აღმოფხვრაზე, მაგრამ, რა ხდება პარალელურად ამ დროს ხელოვნებაში, რას ქმნიან ქალები და რა სასაუბრო ენა აქვთ მაყურებელთან,

საზოგადოებასთან. უფრო კონკრეტულად კი იმ საზოგადოებასთან რომელსაც ეს ქალები, საკუთარი ნარატივით უპირისპირდებიან.

გამომსახველობის ფორმები თანამედროვე არტისტისთვის იმდენად ულევი და ფართო სივრცისაა, რომ, თითქმის ყველაზე დიდ პრობლემას სწორედ ამ გამომსახველობის ენის ჩამოყალიბება წარმოადგენს. იქ სადაც არჩევანი მაღალია გადაწყვეტილებაც უფრო რთულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ვისაუბრებთ ქალებზე რომლებმაც, სწორედ იმ ფორმებზე დაიწყეს მუშაობა რაც გულისხმობს ქალის სოციალურ სტატუსს, მას როგორც რეპროდუქციის უნარის მქონე არსებას, ნაზ და სუსტ სქესს და სხვა. ამის გამო სხვადასხვა არტისტებმა შეიმუშავეს ძალიან საინტერესო ფორმები, ისეთი როგორიცაა ქარგვა, ქსოვა, სუფრის თემატიკა და სხვა. ეს სწორედ ის დამოკიდებულება და ის სასაუბრო ენაა, რითიც ისინი პირდაპირ უპირისპირდებიან პატრიარქალურ სამყაროს, მათი მხრიდანვე მინიჭებული სოციალური სტატუსის შესაბამისობაში.

ქალთა უფლებებზე და მათ ტკივილზე ან ბედნიერებაზე, არტისტები იყენებენ გამომსახველობას რომელიც პირდაპირ მათ სოციალურ კუთვნილებას წარმოადგენს, რაღა თქმა უნდა არსებული სოციალური სტანდარტებიდან გამომდინარე. ამიტომ ეს გზა და ეს ენა ალბათ ყველაზე მარტივი გასაგები და მისაწვდენია მნახველამდე, მაგრამ ყველაზე მძიმე და შრომატევადი გამოცდილების შედეგი არტისტისთვის. კონკრეტული არტისტების მაგალითზე განვიხილავ მათ ნამუშევრებს, კონცეფციას და შესაბამისად საზოგადოებისა და სახელოვნებო სივრცის დამოკიდებულებას ამ კონკრეტულ პოზიციასთან მიმართებაში.

ქარგვა წარმოადგენს ხელოვნების ერთ-ერთ მიმდინარეობას, მაგრამ დღეს ეს კონკრეტული ცდილობს თავის დამკვიდრებას როგორც თავის თავში, ასევე ქალი მხატვრების დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას რომ, თავად საქარგი მასალები, მაკრატელი, ნემსი და სხვა, ბევრ სიმბოლურ დატვირთვას ატარებს მდედრობით სქესთან მიმართებაში. კულტურა და სოციუმი პიროვნების, ჩამოყალიბების პროცესში ხშირად როგორც ფიზიკური (ოჯახური ძალადობა), ასევე ფსიქოლოგიურ (საზოგადოების მხრიდან, ოჯახის მხრიდან) ზეწოლას ახდენს ადამიანებზე, სწორედ ზეწოლის შედეგად იბადება პროტესტი, ყალიბდება გამომსახველობის ფორმები და ენა. ქარგვით გადმოცემული ეგზისტენციალიზმი სრული დეკონსტრუქციაა აქამდე არსებული ფორმებისა და სახელოვნებო ენისა, ეს რა თქმა უნდა ამ ტექნიკის მისაღებად სახელოვნებო სივრცეში დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა, მაგრამ დღეს, ტექსტილზე მომუშავე არტისტები დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

ამ მიმდინარეობას გააჩნია ორი მნიშვნელოვანი განშტოება, რომელსაც ფუნქციურ დატვირთვას ადამიანი სძენს: პირველ ვარიანტში ეს შეიძლება იყოს დეკორატიული აზრ-გამოცლილი ნაქარგი, რომლის ფუნქციაც წარმოადგენს ან ვიზუალურ სამშვენისს ან სხვა გართობის მიზნით შექმნილ ნამუშევარს, მეორე

შემთხვევაში კი ეს არის ხელოვნების ნაწარმი, რომელშიც დახარჯულია გარკვეული ინტელექტუალური რესურსი, ნამუშევარი ატარებს კონკრეტულ მესიჯს, კონცეფციას და ა.შ. სწორედ ასე შეიძინა ტრადიციამ პროტესტის ფორმა.

„ქარგვა“ და „ხელოვნება“ ერთმანეთს დაუკავშირეს 1798 წელს, როდესაც 100 ნაქარგი ნამუშევარი მოაგროვეს საგამოფენოდ The Hanover Square Rooms-ისთვის, გამოფენაზე იყო მერი ლინვუდის ნამუშევრები წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ქარგვას უკვე დაკარგული ქონდა აპრიორი ფუნქცია იმის შესახებ რომ ქალს უნდა მოექარგა მისი ქმრისთვის ან მისი შვილისთვის, სახლის კედლების დეკორაციისთვის და ა.შ, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ქალი ამ უნარს და ნიჭს საკუთარ თავს არ მოახმარდა ამ დრომდე. ამ გამოფენაზე არ იყო წარმოდგენილი მსგავსი ტიპის ნამუშევრები, პირიქით ეს წარმოადგენდა ხელოვნების ნაწილს, ფერწერის ტიპის, მაღალი ტექნიკური შესაძლებლობებით შესრულიბულ ნამუშევრებს.

ეს მიმდინარეობა სახელოვნებო ენად უფრო კონკრეტულად კი პროტესტის ენად 1960-70 იან წლებში აქციეს რადიკალ ფემინისტ აქტივისტებმა, არტისტებმა რომლებიც ქმნიდნენ ქალებისთვის ალტერნატიულ სივრცეებს, ისეთს როგორიცაა Womenhause. ესენი იყვნენ ჯუდი ჩიკაგო, მირიამ შაპირო და სხვები. თანამედროვეობაში უკვე ბევრი მხატვარი მუშაობას ამ მეთოდით. ანა ტერეზა ბარობოსა თავის ნამუშევრებს უწოდებს ტექსტილს მხატვრობასა და ფემინისტური ნაქარგების ზღვარზე არსებულს. ქარგვისთვის (ან ქსოვისთვის) ახდენს რამდენიმე მასალის გაერთიანებას, ფოტო, ხე და სხვა. მისი ერთ-ერთი კოლექცია “one must suffer to be beautiful” წარმოადგენს ნამუშევრებს, სადაც ქალები საკუთარ სხეულზე იქარგავენ, ილამაზებენ როგორც საკუთარ ორგანოებს, ასევე სახის ნაკვთებს. ამ ნამუშევრებით არტისტი ხაზს უსმევს სილამაზის სტანდარტებს, რომელიც, არამარტო ფსიქოლოგიური, არამედ ფიზიკური ტკივილის ხარჯზე უყალიბდება ადამიანს, სტანდარტები რომელიც სხეულს ტანჯავს და პიროვნებას უბიძგებს გარდაქმნისკენ, „ჩვეულებრივად“, „ლამაზად“ მოქცევისკენ.

თითქმის შეუძლებელია საუბრობდე ფემინისტურ ხელოვნებაზე და გვერდი აუარო ჯუდი ჩიკაგოს, რომელმაც 1970 -იან წლებში შექმნა ეპოქა ფემინისტური ხელოვნებისა, მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევარი „The dinner party” წარმოადგენს ინსტალაციას, ფემინისტური ხელოვნების ერთგვარ ხატს, ეს არის სუფრა რომელიც არის 1038 ქალის ისტორიის რეპრეზენტაცია, 39 ქალის ამბავი მოთხრობილია სუფრაზე (ეს ინსტალაცია სუფრის ფორმისაა, მაგიდის სერვირებით) დანარჩენი 999 ქალის ისტორია კი სუფრის ძირს, იატაკზეა წარმოდგენილი. სუფრა კრავს სამკუთხედს, ამ ნამუშევარში ბევრი არტისტის კოლაბორაციაა, სუფრაზე კი თეფშები და სხვა ნივთები არის ე.წ ქალის ხელსაქმით შესრულებული, ზოგი მოხატულია, ზოგი მოქარგული და ა.შ. სადილზე ჯუდის მოწვეულ სტუმრებს შორის არიან ვირჯინია ვულფი, ეგვიპტელი ფარაონი ქალი ხათშეფსუტი, ჯორჯია ო’კიფერი, სუზან ენტონი და სხვები. დანარჩენი 999 სახელი

და გვარი ამ წარმატებული ადამიანების მიღმა მდგარი ქალებისაა, რომლებიც ზურგს უმაგრებდნენ მათ საქმეებში. ჯუდი ჩიკაგოს ეს ნამუშევარი ხანგრძლივი კვლევის შედეგად მიღებული პროექტია რომელიც დღემდე ინსპირაციად არის ქცეული ფემინისტი აქტივისტებისთვისა და არტისტებისთვის.

Craftivism-ი მრავალ განშტოებას მოიცავს თავის თავში, ზოგადად ყველაფერს რასაც სახელი გულისხმობს. როგორც ქარგვა ასევე ქსოვა გადაიქცა ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასაუბრო ენად, ტექნიკად და ფორმად რომელმაც თავისი თავი უკვე დაიმკვიდრა ხელოვნებაში. ქსოვის ტექნიკა დაახლოებით 900 წელს ითვლის მაგრამ 1960-იან წლებში ქსოვას კონცეპტუალური ფუნქცია და არტისტული პოტენციალი არტისტების მცირე ჯგუფმა მიანიჭა. მაგრამ ქსოვა დღეს დღეისობით ერთ-ერთი პოპულარული ფორმაა.

2015 წლიდან არტისტებმა დაიწყეს პროექტი სახელწოდებით “feminist fan”. გამოფენები ტარდება დღემდე სხვადასხვა ცნობილ გალერეებში მსოფლიოს მაშტაბით. ამ გამოფენის მონაწილეები არიან ყველაზე ცნობილი ფემინისტი არტისტები, ისეთები როგორიცაა: ლინდა ბენგლისი, ფუსი რაიოთი, სინდი შერმანი და სხვა, გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა ნამუშავარი ხელით მოქსოვილია და წარმოადგენს ავტოპორტრეტს, თუ როგორ ხედავენ კონკრეტული არტისტები საკუთარ თავს. გამოფენები აღმოჩნდა საკმაოდ პროვოკაციული და გაუგებარი საზოგადოებისთვის მაგრამ მნიშვნელობანი ხელოვნების ისტორიისთვის. ამერიკაში ქალთა მარშისთვის მოიქსოვა მოლიონობით ვარდისფერი ქუდი სწორედ ამ აქციაში მონაწილეებისთვის, ფემინისტები აპროტესტებდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციაურ პრობლემას, ქსოვა ეს ერთგვარი ზრუნვის სიმბოლოა, რომ ქალები ერთმანეთზე ზრუნავენ, ერთმანეთის უფლებებისთვის და ერთმანეთისთვის. სწორედ ამიტომ ხშირად ხელოვნების შეფასებისთვის აუცილებელი როგორც მისი კონკტენტის შესწავლა ასევე მისი ვიზუალური მხარის შეფასებაც. რადგან ნამუშევარი შედგება დეტალებისგან და სწორედ ამ დეტალებშია მისი იდეა.

გამოყენებული ლიტერატურა

knitting art: 150 innovative works from 18 contemprorary rtistis-Beverly A.McPaul

Knitting feminist theories of Rape Etiology to a Comperensive Model- Kere Searle

You are doing it wrong-The knitting genealogist

http://www.textileartist.org/ana-teresa-barboza-handcraft-nature/

Art crush: Anna Teresa Barboza-Talia Giordano

These feminist embroidery artists are breaking boundaries-Bri Kane

https://www.etsy.com/market/feminist_embroidery

Embroidery Art: More and more common in contemprorary expression-Angie Kordic

მარიამ ფრიდონაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დოქტორანტი

აბსტრაქტი

ქალები ხელოვნებაში წარმოგვიდგებიან როგორც უმცირესობა და შესაბამისად მნიშვნელოვანია მათი ხელოვნების პოპულარიზაცია და კვლევა. რა გზებს დახერხებს მიმართავენ ისინი გამომსახველობის ფორმების ძიებისას, რას ქმნიან, როგორ და რა ფორმით წარდგებიან მაყურებლის წინაშე? თუ გავითვალისწინებთ პატრიარქალური წყობისთვის მახასიათებელ სხვა და სხვა ნიშანთვისებებს, თეთრკანიანი მამაკაცების სამყაროში ხელოვნებაც სარკისებურად ირეკლავს სოციალურ და კულტურულ მდგომარეობას. ქალი ხელოვანების მხრიდან ხშირია ამ მოცემულობასთან ბრძოლა, პროტესტი და ამისთვის მიზანმიმართულად შემუშავებული გამომსახველობის სხვადასხვა ფორმები. აქცენტი მინდა გავაკეთო სწორედ იმ ფორმებზე რაც გულისხმობს ქალის სოციალურ სტატუსს, მას როგორც რეპროდუქციის უნარის მქონე არსებას, ნაზ და სუსტ სქესს და სხვა, ამიტომ სხვადასხვა არტისტებმა შეიმუშავეს ძალიან საინტერესო ფორმები, ისეთი როგორიცაა ქარგვა, ქსოვა, სუფრის თემატიკა და სხვა. ეს სწორედ ის დამოკიდებულება და ის სასაუბრო ენაა, რითიც ისინი პირდაპირ უპირისპირდებიან პატრიარქალურ სამყაროს, მათი მხრიდანვე მინიჭებული სოციალური სტატუსის შესაბამისობაში.

ქარგვით და ქსოვით გადმოცემული ქალების პრობლემატიკა ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო მეთოდია თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში, კონცეპტუალური ხელოვნების ერთ-ერთი მიმდინარეობა, რაც საჭიროებს კვლევას და განვითარებას. ნამუშევრები შეიძლება ეხებოდეს როგორც გლობალურ პოლიტიკურ თუ სოციალურ მდგომარეობას, ასევე მედიის გავლენას და სხვა ეგზისტეციალურ პრობლემებს. რაც მთავარია გამომსახველობის ეს გზა აღმოჩნდა ძალიან ეფექტური და ვიზუალურად საინტერესო. ამ მიმდინარეობას განვიხილავ ხელოვნებაში ქალთა ემანსიპაციის ჭრილში, როგორც კონკრეტულ მდგომარეობას არსებული დისკრედიტაციის წინააღმდეგ, ბრძოლის ფორმას და ახალ სასაუბრო ენას ხელოვნების სფეროში. განვიხილავ როგორც მეთოდს ასევე მისი რეალიზების საკითხებს, როგორიცაა ნამუშევრის მუზეუმში ან წამყვან გალერეებში მოხვედრა, არტისტის პოპულარობის კოეფიციენტი და გაყიდვადობის მაჩვენებელი.

Mariam Pridonashvili, Doctoral student

Abstract

Women are presented in art as minorities and consequently it is very important to research and popularize their art thoroughly. More interesting aspect is how do women artists manage to create or present their works for the audience or which methods and ways do they use for searching for forms of expression. If we take into consideration some peculiarities and characteristics of the patriarchal system, it is obvious, that art in the world of white men also reflects the socio-cultural realities and conditions of the society. Women artists are often struggling and protesting against the reality using intentionally elaborated different forms of expressions. My aim is to emphasize these forms of expressions which means first of all the societal status of women, a status of a gentle and weak sex with reproductive ability. So different artists rebel against the patriarchal system and have developed very interesting forms of expression like knitting, embroidery, cuisine and etc.

Expressing the existing problematic issues among women by knitting and embroidery is quite an interesting and important method in the modern art history. It is a new tendency in the conceptual art which requires deep research and development and can express different problematic issues, like global political or social situation, influence of media and other existentialism problems. Moreover this way of expression is quite effective and visually interesting. I discuss this tendency from the angle of emancipation among women, as a concrete reality against the existing discredit, this idea is like a new way of struggle and way of communication in art which can be fulfilled by realization of ideas in museums, leading galleries, promoting the popularity of artists and increase sales of their works. As a result this novelty could be the logical perspective of modern culture and cause revolutionary changes both in the sphere of women rights and say a new word in the art space.

Mariam Pridonashvili, étudiant au doctorat.

Abstrait

Les femmes sont présentées dans l'art comme des minorités et par conséquent, il est très important de rechercher et populariser leur art à fond. L'aspect le plus intéressant est comment les femmes les artistes parviennent à créer ou présenter leurs œuvres pour le public ou quelles méthodes et les moyens qu'ils utilisent pour rechercher des formes d'expression. Si nous prenons en considération certaines particularités et caractéristiques

du patriarc système, il est évident que l'art dans le monde des hommes blancs reflète aussi le caractère socioculturel réalités et conditions de la société. Les artistes femmes luttent et protestent souvent contre la réalité en utilisant intentionnellement différentes formes d'expressions.

Mon but est de mettre l'accent sur ces formes d'expressions qui signifient d'abord le statut societal des femmes, un statut de sexe doux et faible avec des capacités de reproduction. Si different les artistes se rebellent contre le système patriarcal et ont développé des formes très intéressantes d'expression comme le tricot, la broderie, la cuisine, etc. Exprimer les problèmes existants chez les femmes par le tricot et la broderie méthode assez intéressante et importante dans l'histoire de l'art moderne. C'est une nouvelle tendance dans l'art conceptuel qui exige une recherche et un développement approfondis et peut exprimer différentes questions problématiques, comme la situation politique ou sociale globale, l'influence des medias et d'autres problèmes d'existentialisme. De plus, cette façon d'expression est très efficace et visuellement intéressant. Je discute de cette tendance sous l'angle de l'émancipation des femmes, en tant que réalité contre le discrédit existant, cette idée est comme une nouvelle façon de lutte et de communication dans l'art qui peut être réalisée par la réalisation d'idées dans les musées, galeries, promouvoir la popularité des artistes et augmenter les ventes de leurs œuvres. Comme un résultat cette nouveauté pourrait être la perspective logique de la culture moderne et de la cause changements révolutionnaires à la fois dans le domaine des droits de la femme et dire un nouveau mot dans l'art espace.

ნინო ზურაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, დოქტორანტი

ეფექტიანობის შეფასების მოდელები სამშენებლო ბიზნესში

სხვადასხვა ავტორები ეფექტიანობის შეფასებას განსაზღვრავენ როგორც ტექნიკას, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ რამდენად ეფექტიანად არის გამოყენებული რესურსები კომპანიის მხრიდან. მისი საშუალებით დაინტერესებულ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ ანალიზი თუ კონკრეტულად რა ქმედებების შედეგად შეიძლება კომპანიამ მიიღოს დადებითი შედეგი.

ეფექტიანობა მოიცავს როგორც ფინანსურ ასევე არა ფინანსურ მხარეებს და საჭიროებს როგორც შიდა კომპანიის ასევე გარე ფაქტორების შეფასებას. ეფექტიანობის შეფასებით კომპანიას ეძლევა შესაძლებლობა მოახდინოს კომპანიის მომავლის განსაზღვრა და ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირება. (Anderson, McAdam 2004).

მრავალი განსაზღვრებებიდან გამომდინარე, რომლებიც გააჩნია ეფექტიანობის შეფასებას, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ეფექტიანობის შესაფასებლად აუცილებელია მენეჯმენტის ყველა ასპექტის შეფასება, როგორებიც არის ლიდერობა, დაგეგმვა, ადამიანური რესურსები, ფინანსები და ა. შ. აღნიშნული ასპექტების შეფასების შემდგომ კომპანიებისთვის ძალიან მარტივი ხდება მოახდინონ ეფექტიანი სტრატეგიის ფორმულირება, რომელიც საშუალებას მისცემთ მათ მიაღიონ ორგანიზაციის მიერ დასახულ მიზნებს.

სამშენებლო კომპანიების ეფექტიანობის შეფასებაზე საუბრის დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს შეფასების ორი გზა : პირველი ეს არის სამშენებლო პროექტების ეფექტიანობის შეფასება და მეორე არის ყოველდღიური აქტივობებისა და სამშენებლო საქმიანობების შეფასება. როდესაც ვაფასებთ სამშენებლო პროექტის წარმატებას ან წარუმატებლობას, აუცილებელია შევაფასოთ ეფექტიანობა ყველა ასპექტში კლიენტის კმაყოფილებიდან დაწყებული, პროდუქტის ფასი, სამშენებლო პროექტის შესრულების დრო და ხარისხი .

სამშენებლო პროექტის ეფექტიანობის შეფასების დროს მთავარ ასპექტებს წარმოადგენენ : სამშენებლო ინდუსტრიის ინსტიტუტმა დიდ ბრიტანეთში გამოაქვეყნა სამშენებლო კომპანიების ეფექტიანობის შეფასების ათი ძირითადი პარამეტრი. აღნიშნული შედგება შვიდი ინდიკატორისგან

უშუალოდ პროექტის შეფასების შესახებ და სამი პარამეტრისგან, რომელიც ეხება უშუალოდ ორგანიზაციას. (Bititci. 2004)

პროექტის შეფასების შვიდი ინდიკატორია : მშენებლობის ღირებულება; მშენებლობის დრო ; მოგების მაჩვენებელი (დიზაინი და მშენებლობა); დროის მოგების მაჩვენებელი (დიზაინი და მშენებლობა); დეფექტები; კლიენტის კმაყოფილების დონე პროდუქტით; მომსახურეობა. ხოლო ორგანიზაციული სამი პარამეტრია : უსაფრთხოება, მოგება,პროდუქტიულობა.

არსებობს სხვადასხვა მოდელი და ტექნიკა, რომელიც გამოიყენება სამშენებლო კომპანიების ეფექტიანობის შესაფასებლად. მოდელს რომელიც უნდა იქნას გამოყენებული ეფექტიანობის შესაფასებლად, უნდა გააჩნდეს შემდეგი ინსტრუმენტები და აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს : მოდელი და ტექნიკა, რომელიც შერჩეული იქნება კომპანიის ეფექტიანობის შესაფასებლად აუცილებლად უნდა მოიცავდეს კომპანიის განსხვავებულ ასპექტებს. შეფასება უნდა მოხდეს როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური მხარის; მოდელში უნდა მოხდეს კომპანიის შიდა და გარე მდგომარეობის ჩამოყალიბება და ანალიზი; მოდელი დაკავშირებული უნდა იყოს ღირებულებათა ჯაჭვთან.

ქვემოთ აღწერილია, რამდენიმე მოდელი რომლის საშუალებითაც თანამედროვე მსოფლიოში წამყვანი სამშენებლო კომპანიები ახდენენ საკუთარი ეფექტიანობის შეფასებას : EEFQM- ის გაუმჯობესების მოდელი. EFQM გაუმჯობესების მოდელი არის ნაციონალური ხარისხის ჯილდო იმ ორგანიზაციებისთვის რომლებიც ახდენენ გაუმჯობესებას ხარისხის მენეჯმენტში პრაქტიკულად. აღნიშნული მოდელი შეიქმნა ორგანიზაციების გამოცდილების საფუძველზე ევროპის მასშტაბით. ის ფუნქციონირებს 1991 წლიდან. ევროპაში სამშენებლო ინდუსტრიაში მოქმედი ათასობით კომპანია იყენებს აღნიშნულ მოდელს საკუთარი ეფექტიანობის შესაფასებლად. (Chan 2009)

აღნიშნული მოდელი წარმოადგენს ხარისხის მენეჯმენტის ნაწილს. ხარისხის მენეჯმენტი (Total Quality Management) წარმოადგენს მენეჯმენტის მიმართულებას, რომლის დროსაც ორგანიზაციისთვის მთავარ ღირებულებას წარმაოდგენს ხარისხი. ხარისხი არის ის ფასეულობა, რომლის მიღწევასა და შენარჩუნებაზე არიან ორიენტირებულნი აღნიშნული კომპანიის თანამშრომლები. EFQM მოდელი გამოიყენება, რათა კომპანიებმა მოახდინონ საკუთარი ეფექტიანობის შეფასება და მისი გაუმჯობესება. EFQM მოდელი ეფუძნება მომხმარებლის კმაყოფილების კონცეფციას, ასევე ამ მოდელში მნიშვნელოვნად არის მიჩნეული დასაქმებულების კმაყოფილება, ლიდერული პოლიტიკა და სტრატეგია, რომელიც გააჩნია ტოპ მენეჯმენტს. მოდელის მიხედვით ფასეულობას წარმაოდგენენ : რესურსები, პროცესები და მენეჯმენტი რომელიც ახორციელებს ამ პროცესებს.



დიაგრამა № 1. EFQM Excellence Model (EFQM, 2009)

გაუმჯობესების მოდელი კომპანიების ეფექტიანობის შესაფასებლად იყენებს 9 კრიტერიუმს, რომელიც იყოფა დაინტერესებულ მხარეებსა და შედეგებზე. გაუმჯობესების მოდელის მთავარი 9 კრიტერიუმი მოიცავს ქვე - კრიტერიუმებს. აღნიშნული კრიტერიუმების მეშვეობით შეგვიძლია შევაფასოთ თუ როგორ ფუნქციონირებს ორგანიზაცია. შედეგების გენერირების შედეგად დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ დაინახონ ის სუსტი მხარეები რაც გააჩნია ორგანიზაციას. (Hellsten, Klefsjo 2000) .

გაუმჯობესების მთავარი 9 კრიტერიუმი და მათი ქვე – კრიტერიუმები:

1. ლიდერობა – აღნიშნული მოიცავს თუ როგორ ახერხებს ლიდერი მომავლის განსაზღვრას, როგორ ითავსებს ლიდერის როლს, ლიდერობის დროს ითვალისწინებს თუ არა ეთიკურ ასპექტებს ; ლიდერი იმსახურებს თუ არა ნდობას თავისი დაქვემდებარებულების მხრიდან. არის თუ არა ორგანიზაციის მართვის სტილი მოქნილი, შეუძლია თუ არა ლიდერს დროულად მოახდინოს რეაქცია ცვლილებებზე და მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც წარმატებას მოუტანს ორგანიზაციას.

2. სტრატეგია – როგორ ახერხებს ორგანიზაცია შეასრულოს თავისი მიზანი და ხედვა. რა პოლიტიკა, გეგმები, მიზნები გააჩნია ორგანიზაციას საკუთარი სტრატეგიის შემუშავება, დანერგვა, განვითარებაში. (Lin, Shen 2007)

3. ადამიანური რესურსები – ორგანიზაციის მენეჯერები არიან თუ არა თანაბრად სამართლიანი ორგანიზაციის პერსონალთან. აქვთ თუ არა გამართული კომუნიკაცია, დაჯილდოებისა და აღიარების სისტემა. რა ტიპის ტექნიკას იყენებენ პერსონალის მოტივაციის ასამაღლებლად. როგორ ცდილობენ პერსონალის ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას ორგანიზაციისთვის მეტი სარგებლის მისაღებად.

4. პარტნიორები და რესურსები – ორგანიზაციის მენეჯერები როგორ ურთიერთობენ პარტნიორებთან მომწოდებლებთან. იყენებენ თუ არა შიდა

რესურსებს ეფექტიანად. ორგანიზაცია უზურნველყოფს ეფექტიან მენეჯმენტს და დადებით გავლენას ახდენს საზოგადოებასა და გარემომცველ გარემოზე.

5. პროცესები, პროდუქტი და მომსახურება – როგორ ახდენენ მენეჯერები ორგანიზაციის პროცესების გაუმჯობესებას. იზრდება თუ არა კომპანიის პროდუქტისა და მომსახურების ფასეულობა მომხმარებლებისთვის.

6. მომხმარებელი – როგორ უკავშირდება ორგანიზაცია თავის მომხმარებლებს.

7. პერსონალის კმაყოფილების დონე

8. საზოგადოება – რა მიზნები აქვს ორგანიზაციას ადგილობრივ , ნაციონალურ თუ საერთაშორისო დონეზე . რა ურთიერთობა აქვს საზოგადოებასთან.

9. საბოლოო შედეგები – აღწევს თუ არა ორგანიზაცია დასახულ მიზანს

ეფექტიანობის შესახებ.

Malcolm Baldrige – ის ნაციონალური ხარისხის ჯილდო (MBNQA).

აღნიშნული მოდელი წარმოადგენს ნაციონალურ ხარისხის ჯილდოს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს მოდელი შემუშავდა 1997 წელს. იგი სტიმულს აძლევს დასავლეთის ორგანიზაციებს გააუმჯობესონ თავიანთი ხარისხი და მიაღწიონ უფრო მაღალ სტანდარტებსა და დონეებს ხარისხში. აღიშნული მოდელი შეიქმნა რათა კონკურენცია გაეწია იაპონელებისთვის. იაპონიაში დღემდე აქტუალურია დემინგის ხარისხის ჯილდო რომელიც ემსახურება ხარისხის რაც შეიძლება მაღალ დონემდე გაზრდასა და შენარჩუნებას. ამ მოდელსაც გააჩნია თითქმის იგივე პრინციპები რაც EFQM გაუმჯობესების მოდელს. აღნიშნული მოდელი ასევე გამოიყენება კომპანიების მიერ საკუთარი ეფექტიანობის შესაფასებლად. შეფასების ტექნიკა ეფუძნება განსხვავებულ ასპექტებს და ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ხარისხის მენეჯმენტი. MBNQA მოდელის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ ის არის მოდელი რომელიც აფასებს ხარისხის დონეს მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული მოდელი მოიცავს შვიდ მთავარ კრიტერიუმს. ესენია: ლიდერობა; სტრატეგიული დაგეგმვა; მომხმარებელსა და ბაზარზე ფოკუსირება; ინფორმაცია და ანალიზი; ადამიანურ რესურსებზე ფოკუსირება; პროცესების მენეჯმენტი; ბიზნესის შედეგები. (Neely 2005)

ეფექტიანობის პირამიდა.

ეს არის ტექნიკა რომელიც დაკავშირებულია ბიზნესის ეფექტიანობის შეფასებასთან ბიზნეს პროცესების იერარქიის მიხედვით . აღნიშნული ტექნიკა გამოიყენება აღსაწერად, თუ როგორ არიან დაკავშირებული

იერარქიულად ბიზნეს პროცესები ერთმანეთთან. (Robinson 2005) ამ ტექნიკის საშუალებით შესაძლებელი ხდება შეფასდეს ორგანიზაციის სხვადასხვა დონეების ეფექტიანობა. ეფექტიანობის პირამიდა საშუალებას იძლევა შეფასდეს თუ როგორ უნდა მოხდეს ორგანიზაციის სტრატეგიის განხორციელება, ორგანიზაციის სხვადასხვა დონეების მიხედვით ზემოდან ქვემოთ. აღნიშნული ტექნიკა პრიორიტეტს ანიჭებს მომხმარებლის კმაყოფილებას. ეფექტიანობის პირამიდას იყენებენ კორპორაციების ეფექტიანობის შესაფასებლად, სტრატეგიული ბიზნეს ერთეულებისა და დეპარტამენტების, ორგანიზაციის სამუშაო ცენტრების ეფექტიანობის შესაფასებლად. ეფექტიანობის პირამიდისთვის შესაფასებელ პარამეტრებს წარმოადგენს მომხმარებლის კმაყოფილება, ხარისხი, მომსახურება, დრო და ხარჯები. (Mbugua 1999).

Sink da Tuttle – ის მოდელი.

ეს არის კლასიკური მოდელი ეფექტიანობის შეფასების სისტემა , რომელიც გამოხატავს , რომ ორგანიზაციის ეფექტიანობა არის კომპლექსური და ურთიერთდაკავშირებული. კომპანიის ეფექტიანობა მოიცავს შემდგომ მნიშვნელოვან შვიდ კრიტერიუმს: ეფექტიანობა, რომელიც ნიშნავს "გააკეთე ის რაც საჭიროა, ზუსტ დროს შესაფერისი ხარისხით". პრაქტიკაში, ეფექტიანობა აღქმულია როგორც თანაფარდობა თუ როგორია რეალური გასავალი მოსალოდნელ გასავალთან მიმართებაში. (Jusoh, Parnell 2008).

ეფექტურობა, რომელიც ნიშნავს "გააკეთე შესაბამისი ქმედება", რომელსაც განსაზღვრავენ როგორც თანაფარდობას რესურსების შედეგად წარმოებული საქონლისა , მოსალოდნელ წარმოებულ საქონელთან არსებული რესურსებით .

- ხარისხი და მისი შეფასება
- პროდუქტიულობა, რომელიც ტრადიციული გაგებით განისაზღვრება, როგორც თანაფარდობა შემოსავალსა და გასავალს შორის.
- სამუშაო გარემოს ხარისხი, რომელიც არის არსებითი რათა უზრუნველყოფილ იქნას სამუშაოს შესრულება უმაღლეს დონეზე, მაღალი მოტივაციით დაქირავებულის მიერ.
- ინოვაციები, რომელიც არის გადამწყვეტი ფაქტორი მდგრადი

  განვითარებისთვის.
- მომგებიანობა და ბიუჯეტის მდგრადობა, რომელიც ხელს უწყობს ნებისმიერ ორგანიზაციას მოახდინოს თავისი ბიზნესის დივერსიფიკაცია და ახალი ბიზნესის წამოწყება. (ELg, Kollberg 2009).

სხვადასხვა ავტორის მოსაზრებით, მართალია აღწერილი მოდელი არის კარგი საშუალება ეფექტიანობის შესაფასებლად , მაგრამ მას აქვს გარკვეული შეზღუდვები. მაგალითად, შეზღუდვას წარმოადგენს, რომ ის არ ითვალისწინებს მოქნილობას . ასევე ნაკლოვანებას წარმოადგენს ის მომენტი,

რომ აღნიშნულ მოდელში არ არის გათვალისწინებული მომხმარებლის პერსპექტივა.

ერთ - ერთი მოდელი რომელიც სამშენებლო კომპანიის ეფექტიანობს აფასებს როგორც ფინანსური ასევე არა ფინანსური თვალსაზრისით არის ბალანსის ანგარიში **Balanced Scorecard (BSC). (Bourne 2005).** აღნიშნული მოდელის მიხედვით ეფექტიანობის შეფასებისთვის იყენებენ როგორც წარსულის მონაცემებს, ასევე აფასებენ იმ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს კომპანიის ეფექტიანობას მომავალში. BSC მოდელი მოიცავს როგორც ფინანსურ მაჩვენებლებს, რომელთა გაზომვისა და შეფასების საშუალებით შეუძლია ეფექტიანობის დადგენა, არამედ ასევე შეიცავს არაფინანსურ კომპონენტებსაც, რომლებიც წარმოადგენს მომავლის ეფექტიანობის მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორებს. ამგვარად, შესაძლებელი ხდება კომპანიას წინასწარ გარკვეული წარმოდგენა გააჩნდეს საკუთარი ეფექტიანობის შესახებ. მოდელის გამოყენებით ეფექტიანობის შეფასების დროს მნიშვნელოვანი კომპონენტებია ორგანიზაციის ხედვა და სტრატეგია. (Ali Rahmat 2010).

მოდელი საშუალებას აძლევს მენეჯერებს ბიზნესი შეაფასონ მნიშვნელოვანი ოთხი პერსპექტივიდან, რომლებიც არის ფინანსური მხარე, ბიზნესის (კომპანიის) შიდა გარემო, ინოვაციები და მომხმარებლის პერსპექტივა. ეს არის მოდელი რომელიც ფოკუსირებულია კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე, ორგანიზაციული მიზნების შექმნასა და კომპანიის სტრატეგიის იმპლემენტაციაზე. აღნიშნული მოდელის მიხედვით შესაძლებელია ეფექტიანობის შეფასება კომპანიის ზუსტ იმ ასპექტებში, რომლებიც არის ყველაზე მნიშვნელოვანი. აგრეთვე ეს მოდელი არის საკმაოდ მარტივი და არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტრენინგსა და სპეციალურ თანამშრომლებს რათა მოხდეს კომპანიის ეფექტიანობის ანალიზი და შეფასება. (Chan 2009).

ეფექტიანობის შეფასება კომპანიებისთვის აუცილებელი გახდა, რადგან დიდი კომპანიების უმეტესობამ წარსულ წლებშივე გააცნობიერა ეფექტიანობის მნიშვნელობა. მენეჯმენტი მიხვდა რომ ეფექტიანობის შეფასება მათ ეხმარებათ გააცნობიერონ თავიანთი ბიზნესის პოტენციალი და მდგრადი განვითარების გზები მომავალში. ეფექტიანობის შეფასება თანდათან აქტუალური ხდება საქართველოშიც, თუმცა ჯერ არ სარგებლობს დიდი პოპულარობით. ვიმედოვნებთ, რომ ქართული დეველოპერული კომპანიები გააცნობიერებენ ეფექტიანობის შეფასების აუცილებლობის მნიშვნელობას და დაიწყებენ მის გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ali, A.S. and Rahmat, I. (2010) The Performance Measurement of Construction Projects Managed by ISO-Certified Contractors In Malaysia. Journal of Retail and Leisure Property. Vol. 9 (1), pp. 25-35.

2. Anderson, K. and McAdam, R. (2004) A Critique of Benchmarking and Performance Measurement (Lead or Lag?). Benchmarking: An International Journal. Vol. 11 (5), pp. 465-483.

3. Anderson, K. and McAdam, R. (2004) A Critique of Benchmarking and Performance Measurement (Lead or Lag?). Benchmarking: An International Journal. Vol. 11 (5), pp. 465-483.

4. Bititci, U.S., Mendibil, K., Nudurupati, S., Turner, T. and Garengo, P. (2004) The Interplay Between Performance Measurement, Organizational Culture and Management Styles. Measuring Business Excellence. Vol. 8 (3), pp. 28-41

5. Bourne, M., Kennerley, M. and Franco-Santos, M. (2005) Managing Through Measures: A Study Of Impact On Performance. Journal of Manufacturing Technology Management. Vol.16 (4), pp. 373-395

6. Chan, T.K. (2009) Measuring Performance of The Malaysian Construction Industry. Construction Management and Economics. Vol.27 (12), pp. 1231-1244.

7. Elg, M. and Kollberg, B. (2009) Alternative Arguments And Directions For Studying Performance Measurement. Total Quality Management and Business Excellence. Vol.20 (4), pp. 409-421

8. Hampson, V.M and Best, J.P. (2005) A Framework for Assessing the Effectiveness of Performance Measurement Practices. Proceedings. The 3rd Conference on Performance Measurement and Management Control. The European Institute for Advanced Studies in Management. Nice, France.

9. Hellsten, U. and Klefsjo, B. (2000) TQM As A Management System Consisting of Values, Techniques And Tools. The TQM Magazine, Vol.12 (4), pp. 238-244.

10. Hoque, Z. (2004) A Contigency Model of The Association Between Strategy, Environmental Uncertainty And Performance Measurement: Impact On Organisational Performance. International Business Review. Vol.13, pp. 485-502.

11. http://www.qualityscotland.co.uk/efqm.asp [accessed September 2008].

12. In Construction. Journal of Management in Engineering. Vol. 23 (1), pp. 2-9.

13. Jusoh, R. and Parnell, J.A. (2008) Competitive Strategy And Performance Measurement In The Malaysian Context. Management Decision. Vol.46 (1), pp. 5-31.

14. Kagioglou, M., Cooper, R. and Aouad, G. (2001) Performance Measurement in Construction: A Conceptual Framework. Construction Management and Economic. Vol.19, pp. 85-95.

15. Kulatunga, U., Amaratunga, D. and Haigh, R. (2007) Performance Measurement in the Construction Research and Development. International Journal of Productivity and Performance Management. Vol.56 (8), pp. 673-688

16. Lee, P-M. and Quazi, H.A. (2001) A Methodology For Developing A Self-Assessment Tool To Measure Quality Performance In Organizations. International Journal of Quality And Realibility Management, Vol.18 (2), pp. 118-141.

17. Lin, G. and Shen, Q. (2007) Measuring The Performance of Value Management Studies

18. Mbugua, L.M., Harris, P., Holt, G.D and Olomolaiye, P.O (1999) A framework For Determining Critical Success Factors Influencing Construction Business Performance. In: Hughes, W. (ed) Proceedings. 15th Annual ARCOM Conference. September 5-7, Reading: ARCOM. 1, 255-264.

19. Neely, A. (1999) The Performance Measurement Revolution: Why Now and What Next?. International Journal of Operations and Production Management. Vol.19 (2), pp. 205-228.

20. Neely, A. (2005) The Evolution of Performance Measurement Research: Developments in the Last Decade and A Research Agenda for the Next. International Journal of Operations and Production Management. Vol.25 (12), pp. 1264-1277.

21. Quality Scotland (2007) Business Excellence [online]. Available at

22. Robinson, H.S, Carillo, P.M, Anumba, C.J and Al-Ghassani, A.M. (2005) Review and Implementation of Performance Management Models in Construction Engineering Organizations. Construction Innovation. Vol. 5 (4), pp. 203

ნინო ზურაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

ეფექტიანობის შეფასების მოდელები სამშენებლო ბიზნესში

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში სწრაფად იცვლება სამუშაო გარემო, იზრდება კონკურენცია მსოფლიოს მასშტაბით. სწრაფად იცვლება ნაციონალური და საერთაშორისო მოთხოვნები პროდუქტის ხარისხსა და მომსახურებასთან მიმართებაში; იცვლება ორგანიზაციული როლები. იცვლება საშინაო და საგარეო მოთხოვნა მომხმარებლების მხრიდან. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ და ინფორმაციის უნარმა გავრცელდეს სწრაფად, კომპანიებს უბიძგა გააუმჯობესონ ხარისხი და იმუშაონ აქტიურად კომპანიის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. სტატიაში განხილულია ტექნიკა და მოდელები, რომელსაც იყენებენ განვითარებულ ქვეყნებში, რათა მოახდინონ თავიანთი კომპანიების ეფექტიანობის იდენტიფიცირება და მისი გაუმჯობესება.

საკვანძო სიტყვები: EFQM მოდელი, მშენებლობა, ეფექტიანობა, კრიტერიუმები

Doctoral student Nino Zurashvili

"Performance assessment models in construction business"

Resume

In modern world rapidly change work environment is increasing competition through the world. Rapidly change national and international requirements about product and service quality; it is changing organizational roles. It is changing external and internal demand from the customers. After development information technologies and the habit of information to spread very fast, push the companies to improve quality and work actively to increase their business performance. Following article discussed different tools and models, which are used in developed countries to identify their companies' performance and after identification improve their weakness.

L'étudiant de doctorat Nino Zurashvili

"Modèlesd'évaluation de la performance dans le secteur de la construction"

résumé

Dans le monde moderne, l'environnement de travail change rapidement, ce qui augmente la concurrence à travers le monde. Changezrapidement les exigencesnationalesetinternationales en matière de qualité des produits et des services; il change les rôlesorganisationnels. Il change la demandeexterne et interne des clients. Après le développement des technologies de l'informationetl'habitude de l'information à se diffuser trèsrapidement, pousser les entreprises à améliorer la qualité et à travailleractivement pour accroîtreleur performance commerciale. L'articlesuivant a discuté de différentsoutilsetmodèles, qui sontutilisésdans les pays développés pour identifier le rendement de leursentreprises et après identification, améliorerleurfaiblesse.

ნოდარ გრძელიშვილი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი;
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;

ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი მიზეზები, ფაქტორები და წონასწორული მოდელი

ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგნოზებისა და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის ხასიათის განმსაზღვრელი მიზეზებისა და ფაქტორების, მათ შორის არსებული ურთიერთკავშირის გათვალისწინება. ეკონომიკურ თეორიაში ეკონომიკური ზრდის ფაქტორებში გულისხმობენ იმ მოვლენებსა და პროცესებს, რომლებიც განსაზღვრავენ წარმოების რეალური მოცულობის გადიდების, ზრდის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების შესაძლებლობებს.

როგორც ცნობილია ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ მიწოდების, მოთხოვნისა და განაწილების ფაქტორებს.

მიწოდების ფაქტორები განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის ფიზიკურ უნარს და პროდუქციის გამოშვების საწარმოო შესაძლებლობებს. მათ მიეკუთვნება:

1. ბუნებრივი რესურსების რაოდენობა და ხარისხი;
2. შრომითი რესურსების რაოდენობა და ხარისხი;
3. ძირითადი კაპიტალის მოცულობა;
4. ტექნიკური პროგრესი;
5. წარმოების მაშტაბებით განპირობებული ეკონომიკა;
6. საზოგადოების სამეწარმეო უნარი.

ეჭვს არ იწვევს, რომ ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაოდენობა და ძირითადი კაპიტალის მოცულობა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. თუმცა აღნიშნული ფაქტორების სიჭარბე, თუ შეზღუდულობა შეუძლებელია მივიჩნიოდ ეკონომიკური ზრდის მაღალი, თუ დაბალი ტემპების განმსაზღვრელ მიზეზად, რასაც ადასტურებს ცალკეულ ქვეყნებში არსებული ვითარებაც.

ცხადია, რომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია შრომითი რესურსებისა და ძირითადი კაპიტალის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებას, სამუშაო ძალის განათლებისა და პროფესიული მომზადების დონის ამაღლებას, რაც წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ–ერთ აუცილებელ პირობას.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის წამყვან ფაქტორს წარმოადგენს ტექნიკური პროგრესი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს: ეკონომიკაში მიმდინარე დინამიურ პროცესებს, ეკონომიკური ზრდის პროცესის უწყვეტობას და შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ეროვნული მეურნეობის, მათ შორის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურასა და ქვეყნის ადგილს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, მუშახელის, ნედლეულისა და სათბობ–ენერგეტიკული რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და ა.შ.



ტექნიკური პროგრესი, ანუ წარმოების სრულიად ახალი მეთოდები, აგრეთვე წარმოების მართვისა და ორგანიზაციის ახალი ფორმები, არსებული რესურსების ახალი, პროგრესული წესით კომბინირების შესაძლებლობებს ქმნის, რაც განაპირობებს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებას. ამგვარად ტექნიკური პროგრესი ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი წყაროა. ა.შ.შ.–ში, 1928–1982 წლებში, რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდის 28% განპირობებული იქნა ტექნიკური პროგრესის შედეგად.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკური ზრდის მოწოდების ფაქტორებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ინტელექტუალურმა კაპიტალმა და ინფორმაციამ. ინტელექტუალური კაპიტალი და ინფორმაცია თანამედროვე პირობებში წარმოადგენენ მნიშვნელოვან საწარმოო რესურსებს, რომლებიც არსებითად განსაზღვრავენ საწარმოო პროცესის უწყვეტობას და ეფექტიანობას, აგრეთვე გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, როგორც ქვეყნის შიდა, აგრეთვე საგარეო ბაზარზე.

მხოლოდ მიწოდების ფაქტორების არსებობა არ არის ეკონომიკური ზრდის საკმარისი პირობა. რესურსების მზარდი მოცულობის რეალური გამოყენება, ახალი ტექნოლოგიების შექმნა და წარმოების პროცესში დანერგვა მოითხოვს ერთობლივი მოთხოვნის ადეკვატურ გაფართოებას და რესურსების

ოპტიმალურ განაწილებას. ე.ი. ეკონომიკური ზრდა აგრეთვე დამოკიდებულია მოთხოვნისა და განაწილების ფაქტორებზე. მოთხოვნის ფაქტორებს მიეკუთვნება სამომხმარებლო, ინვესტიციური და სამთავრობო დანახარჯების, აგრეთვე წმინდა ექსპორტის ცვლილება.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი და მიზანშეწონილი გამოყენება დაკავშირებულია განაწილების ფაქტორებთან. ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია რესურსებისა და შემოსავლების ისეთი განაწილება, რომელიც მათი ოპტიმალური გამოყენებისა და სასარგებლო პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობის მიღების შესაძლებლობას მოგვცემს. ე.ი. საჭიროა ქვეყნის საწარმოებს, დარგებსა და რეგიონებს შორის საწარმოო რესურსების განაწილების სტრუქტურის, აგრეთვე ეკონომიკის სუბიექტებს შორის შემოსავლების განაწილების არსებული წესის სრულყოფა.

რესურსების განაწილების გაუმჯობესება გულისხმობს რესურსების, მ.შ. სამუშაო ძალის გადანაწილებას დაბალი–მწარმოებლური და კრიზისში მყოფი დარგებიდან და რეგიონებიდან მაღალმწარმოებლურ დარგებსა და რეგიონებში.

შემოსავლების განწილების არსებული წესი ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას მაქსიმალურად შესაძლებელი ტემპებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის წარმოშობს სათანადო სტიმულებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. ე.ი. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალის რეალიზაციისათვის აუცილებელია, რომ ეკონომიკური ზრდის პროცესში არ შემცირდეს დასაქმებული მუშაკების შემოსავლები და იგი გაიზარდოს მათი შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპის შესაბამისად. ამავე დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია სიღარიბის დონის შემცირებას და მოსახლეობის ღარიბი ნაწილის შემოსავლების ამაღლებას, რაც აღნიშნულ ფენას, საკუთარი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, სათანადო დანახარჯების განხორციელების შესაძლებლობებს მისცემს. ადამიანური კაპიტალის განვითარება კი, თავის მხრივ ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის ზრდას.

ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია აგრეთვე ქვეყანაში არსებული სოციალურ პოლიტიკურ და კულტურულ ატმოსფეროზე, შრომისადმი და მეწარმეობისადმი საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებაზე. სტაბილური პოლიტიკური და სოციალური გარემო, შრომისა და მეწარმეობისადმი საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებაზე. სტაბილური პოლიტიკური და სოციალური გარემო, შრომისა და მეწარმეობისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირების ერთ–ერთი აუცილებელი პირობაა.

ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვნ ზემოქმედებას ახდენს ინსტიტუციური ფაქტორებიც, როგორიცაა:

1. არაფორმლური ინსტიტუტები, ანუ ტრადიციები, წეს – ჩვეულებები, საქმიანი ქცევის სტერეოტიპები და ნორმები.

2. ფორმალური ინსტიტუტები, ანუ საკუთრების უფლების გარანტიები, კონკურენციის პირობები, სხვა სამართლებრივი ნორმები, მათი რეალიზაციის მექანიზმები და მ.შ. საბაზრო კოორდინაციის ინსტიტუტები (საფინანსო, ეკონომიკური, კომუნიკაციური, მარკეტინგული და ა.შ.) და ბიუროკრატიული კოორდინაციის ინფრასტრუქტურა (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვისა და რეგულირების ორგანოები, მათი უფლებამოსილების საზღვრები, მათ მიერ გამოყენებული რეგულირების ბერკეტები და ინსტრუმენტები და ა.შ.)



ამგვარად, ცხადია რომ ქვეყნის საწარმოო პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციისათვის საჭიროა ერთობლივი მოთხოვნის ადეკვატური გადიდება და მიწოდების ფაქტორების ეფექტიანი განაწილება – გამოყენება. დღევანდელ პირობებში არანაკლებ მნიშვნელოვანია ინსტიტუციური ინოვაციების განხორციელება, ვინაიდან წარმოების მაშსტაბების გადიდება, ახალი ბაზრების ათვისება, მსოფლიო ეკონომიკის გლობლიზაცია მოითხოვს არსებული ინსტიტუტების ტრანსფორმაციას და ახალი ინსტიტუტების ფორმირებას.

ეკონომიკური ზრდის წონასწორული მოდელი.

ეკონომიკური ზრდის ტიპები და პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობის თანაფარდობა საწარმოო შესაძლებლობებთან, მის პოტენციურ დონესთან განსაზღვრავს, ეკონომიკური ზრდის თუ რომელ ტიპს ენიჭება უპირატესობა ექსტენსიურ თუ ინტენსიურს.

თუკი ქვეყანაში მწვავე სოციალურ–ეკონომიკური კრიზისის შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში და მ.შ. საქართველოში, პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობა მკვეთრად ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკური ზრდის ექსტენსიურ ტიპს, ანუ უქმად მყოფი მოწოდების ფაქტორების ჩაბმას წარმოების პროცესში, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობა შეესაბამება ან უმნიშვნელოდ ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, მაშინ აშკარაა ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპის უპირატესობა.

ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპის სპეციფიკაცია მდგომარეობს იმაში, რომ წარმოების ზრდა მიიღწევა მიწოდების ფაქტორების ხარისხობრივი

სრულყოფის ხარჯზე: პროგრესული ტექნოლოგიების, უფრო მაღალი კვალიფიკაციისა და შრომის მწარმოებლურობის მქონე სამუშაო ძალის გამოყენებით. ამ შემთხვევაში წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპი მეტი იქნება მის წარმოებაზე ერთობლივი დანახარჯების ზრდის ტემპზე, მაშინ როდესაც ექსტენსიური ზრდისას შენარჩუნდება მუდმივი პროპორცია წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპსა და მის წარმოებაზე რეალურ ერთობლივ დანახარჯებს შორის.

ამგვარად ეკონომოკური ზრდის ტემპებია:

I. ექსტენსიური ზრდა. გამოიხატება წარმოების ფაქტორების რაოდენობრივი ზრდით. მისი ფაქტორებია: 1. ინვესტიციების მოცულობის ზრდა არსებული ტექნოლოგიების შენარჩუნებით. 2. დასაქმებითი თანამშრომლობის რაოდენობის ზრდა. 3. მოხმარებული ნედლეულის, მასალების, ენერგო შემცველობისა და საბრუნავი კაპიტალის ზრდა.

ეკონომიკური ზრდის ექსტენსიური ტიპი განვითარების ყველაზე მარტივი გზაა. მისი დადებითი მხარეებია: ადვილად განსახორციელებელია, ხდება ბუნებრივი რესურსების სწრაფი ათვისება, აღმოფხვრის უმუშევრობას. უარყოფითი მხარეებია : ტექნიკური უძრაობა, რომლის დროსაც პროდუქციის რაოდენობრივი ზრდა არ მოდის ტექნიკურ ეკონომიკურ პროგრესთან შესაბამისობაში.

II. ინტენსიური ზრდა, ხორციელდება წარმოების ფაქტორების ხარისხობრივი ზრდის ხარჯზე, მის ფაქტორებს განეკუთვნება: თანამშრომლობის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის გაუმჯობესება. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა. ბიზნესის უკეთესი მენეჯმენტის შედეგად მისი ეფექტურობის ამაღლება და ა.შ. ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპი უფრო პროგრესულია. მთავარ როლს თამაშობს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. მე–20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მოწინავე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა ძირითადად ხორციელდება წარმოების ფაქტორების ინტენსიური ზრდის ხარჯზე.

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წონასწორული ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის თანაბარზომიერ გადიდებას. წონასწორული ეკონომიკური ზრდის პირობას აგრეთვე წარმოადგენს დანაზოგებისა და ინვესტიციების ტოლობა. შედეგი კი ფასების დონის სტაბილურობაა.ეკონომიკურ თეორიაში განასხვავებენ ეკონომიკური ზრდის წონასწორული მოდელების ორ ძირითად ტიპს: ნეოკლასიკურს და ნეოკეინსიანურს.

ნეოკლასიკური მოდელების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ნეოკლასიკური თეორია, რომლის თანახმადაც საბაზრო სისტემას ახასიათებს ოპტიმალურობა და საბაზრო კონკურენციის სიტემა უზრუნველყოფს

დეფიციტური რესურსების რაციონალურ განაწილებას, მათ ეფექტიან გამოყენებას და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მაღალ დონეს.

წონასწორული ზრდის ყველაზე ცნობილ ნეოკლასიკურ მოდელს წარმოადგენს კობი–დუგლასისა და რ. სოლოუს მოდელები.

კობი–დუგლასის ფაქტორული მოდელი გვიჩვენებს შრომისა და კაპიტალის ურთიერთქმედებასა და ურთიერთჩანაცვლებას. მ.შ. – ის, მატების ერთი და იგივე მოცულობა შეიძლება მიღებული იქნას ან კაპიტალდაბანდების გადიდების შედეგად, ან შრომის გამოყენების გაფართოების შედეგად. ამიტომ საწარმოო ფუნქციის საფუძველზე ხორციელდება წარმოების აღნიშნული ფაქტორების ისეთი ტექნოლოგიური კომბინაციის შერჩევა, რომელზეც არსებობს მოთხოვნა მოცემულ კონკრეტულ პირობებში.

კობი–დუგლასის ეკონომიკური ზრდის მოდელის ნაკლს შეადგენს, ის რომ იგი არ ითვალისწინებს კაპიტალის ფიზიკურ მდგომარეობას, მის ასაკს, კაპიტალის მწყობრიდან გამოსვლასა და ტექნოლოგიურ პროგრესს.

რ. სოლოუმ კი შეიმუშავა წონასწორული ზრდის მოდელი, რომელშიც დადგენილია მოსახლეობის ზრდის, დანაზოგებისა და ტექნოლოგიური პროგრესის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. იგი ითვალისწინებს კაპიტალისა და შრომის ურთიერთჩანაცვლებას.

ეკონომიკური ზრდის სოლოუს მოდელის თანახმად:

1. დანაზოგის ნორმის უცვლელი სიდიდის პირობებში, კაპიტალ შეიარაღების მყარი დონე მიიღწევა მაშინ, როცა ინვესტიციები და კაპიტალის მწყობრიდან გამოსვლა ერთმანეთის ტოლია. კაპიტალის მოცულობის მყარი დონე კი ეკონომიკაში უზრუნველყოფს გრძელვადიან წონასწორობას.
2. დაზოგვის ნორმის ცვლილება გამოიწვევს კაპიტალის მოცულობის მყარი დონის შესაბამის ცვლილებას. თუკი დაზოგვის ნორმა ამაღლდება, მაშინ ინვესტიციებსა და მწყობრიდან გასულ კაპიტალს შორის არსებული წონასწორობა დაირღვევა: ინვესტიციები მეტი აღმოჩნდება დანაზოგებზე, შესაბამისად დამყარდება ახალი წონასწორობა, რომლის პირობებშიც ეკონომიკაში გაიზრდება კაპიტალის მარაგი და ამაღლდება წარმოების დონე.
3. კაპიტალის დაგროვების დონეს, რომელიც უზრუნველყოფს მყარ მდგომარეობას მოხმარების მაქსიმალური დონით, ეწოდება კაპიტალის დაგროვების ოქროს დონე. ეს ის დონეა, რომლის დროსაც საზოგადოების კეთილდღეობა აღწევს თავის მაქსიმალურ დონეს.
4. მოსახლეობის ზრდა იწვევს კაპიტალისა და წარმოების მოცულობის შესაბამისი ტემპით ზრდას, ეკონომიკური ზრდის ასეთი ტემპი გამორიცხავს მოსახლეობის ცხოვრების დონის გრძელვადიან ზრდას, ვინაიდან წარმოების მოცულობა ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, მყარ მდგომარეობაში, მუდმივი რჩება.

5. მოდელი გვიჩვენებს, რომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ–ისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის უწყვეტი ზრდა განპირობებულია ტექნოლოგიური პროგრესით.

სოლოუს მოდელის ძირითად ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ის რომ, გარანტირებული არ არის ხანგძლივი წონასწორობის მდგომარეობის მიღწევა, რამდენადაც ეკონომიკური პარამეტრები ცვალებადია, ხოლო აღნიშნულ მოდელში კი ისინი ითვლება მუდმივად, თუმცა იგი სხვა თანაბარ პირობებში სწორ წარმოდგენას იძლევა გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებზე.

ნეონკეინსიანური მოდელების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კეინსის მტკიცება, რომ დაგეგმილ ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის არსებობს შეუსაბამობა, რაც იწვევს საქმიანი აქტივობის რყევებს. ამავე დროს მრავალი ბაზარი ხასიათდება არაკონკურენციულობით, რის გამოც ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, ზემოქმედებს წარმოების დონეზე და არა ფასების დონეზე. შესაბამისად აღნიშნული თეორიის თანახმად, საჭიროა სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ეკონომიკაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ერთობლივ მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების წონასწორობა და ეკონომიკის სტაბილიზაცია.

ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია ე. დომერის რ. ხაროდისა და სხვათა მიერ შემუშავებული ეკონომიკური ზრდის ნეოკეინსიანური მოდელები. ე. დომერის ძირითადი წვლილი წონასწორული ეკონომიკური ზრდის თეორიაში მდგომარეობს იმაში, რომ მან ყურადღება გაამახვილა ინვესტიციების ორივე ეფექტის, როგორც მულტიპლიკატორის, აგრეთვე აქსელერატორის გათვალისწინების აუცილებლობაზე. ინვესტიციების მატება, ე.დომერსის აზრით, იწვევს როგორც ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას (მულტიპლიკატორის ეფექტის გათვალისწინებით), აგრეთვე ერთობლივი მიწოდების (აქსელერატორის ეფექტის გათვალისწინებით), რაც ეკონომიკური ზრდის ერთ–ერთი აუცილებელი პირობაა. ამასთან დომერის მოდელში წონასწორობა არა არის მყარი, ვინაიდან ინვესტიციური გეგმები და დანაზოგები ხშირ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს ერთმანეთთან შეუსაბამო. ამიტომ ეკონომიკაში დინამიკური წიონასწორობის უზრუნველსაყოფად დომერი გვთავაზობს ეკონომიკური ზრდის სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში სასაქონლო და რესურსული ბაზრების უმრვლესობა დეფორმირებულია. მიმდინარეობს საზოგადოების სტრუქტურის რადიკალური გარდაქმნა. მომარაგება, წარმოება და ფასები დაუბალანსებელია. ხშირად ეკონომიკური გადაწყვეტილებები განისაზღვრება პოლიტიკური ან სოციალური პრიორიტეტებიდან გამომდინარე. ამდენად განვითარების ეკონომიკა შეისწავლის ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ პირობებს. რაც აუცილებელია სხვადასხვა საზოგადოების სწრაფი

სტრუქტურული და ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციისათვის, ამიტომ განვითარების ეკონომიკა განიხილავს სახელმწიფოს აქტიურ როლს ეკონომიკის ტრანსფორმაციის კოორდინაციის საქმეში.

მთელი ქვეყნის მაშტაბით გრძელვადიანი წონასწორული ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია რეგიონების ეკონომიკურ პოტენციალზე, მათი სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული დისპროპორციების გამომწვევ მიზეზებზე და სიღრმეზე, აგრეთვე რეგიონებში ეკონომიკური ზრდის არსებულ ფაქტორებზე. რეგიონებში არსებული ეკონომიკური პოტენციალი (ბუნებრივი რესურსები, კლიმატური პირობები, სამუშაო ძალა, სამრეწველო პოტენციალი) ხელს უწყობს მათ სპეციალიზაციას ტრადიციულ დარგებში და წარმოების იმ თანამედროვე სფეროებში, სადაც ამის შესაძლებლობას იძლევა არსებული რესურსები – ქვეყანაში საგარეო ბაზარზე არსებული კონკურენციული გარემოს გათვალისწინებით. ამგვარად, რეგიონების ეკონომიკური პოტენციალი, მათი ეფექტიანი გამოყენებისა და რეგიონებს შორის რაციონალური ეკონომიკური კავშირების უზრუნველყოფის პირობებში წარმოადგენს, როგორც თვით რეგიონებში, აგრეთვე მთლიანად მთელ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის არსებით წყაროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპზე როგორც ქვეყნის, აგრეთვე რეგიონების მასშტაბით უარყოფითად ზემოქმედებს რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული დისპროპორციები, ვინაიდან იგი იწვევს გასაღების ბაზრების შეკვეცას, დანახარჯების ზრდას ჩამორჩენილი, დეპრესიული რეგიონების სუბსიდირებაში, რესურსების არაეფექტიან განაწილებას და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ქვეყნის მაშტაბით ეკონომიკური ზრდის ფაქტორების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ანალოგიური ფაქტორების შეფასებას რეგიონების დონეზე.

რეგიონებში ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს ამა თუ იმ ფაქტორის წამყვან როლს, ან ფორმირების შესაძლებლობას რეგიონის დონეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე რეგიონების დონეზე ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებს მიეკუთვნება მიწოდებისა (შრომითი რესურსები, მათი განათლებისა და პროფესიული მომზადების დონე, შრომისადმი დამოკიდებულება, მიწა, კლიმატური პირობები, ბუნებრივი რესურსები, კაპიტალი, მისი ხარისხობრივი მახასიათებლები, ტექნოლოგიები) და რესურსების განაწილების ფაქტორები. აღნიშნული ფაქტორებით მდიდარ რეგიონებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მეტი შესაძლებლობები გააჩნით. შრომითი რესურსების განათლებისა და მომზადების დონე, კაპიტალის მოცულობა და ხარისხობრივი მახასიათებლები ტექნოლოგიურ სიახლეთა დანერგვა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დონით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ეკონომიკური ზრდა, როგორც მთელი ქვეყნის, აგრეთვე ცალკეული რეგიონების მასშტაბით წარმოადგენს მრავალფაქტორულ მოვლენას. აღნიშნული ფაქტორების ერთიანობა ქვეყნისა და რეგიონების დონეზე განპირობებულია იმით, რომ რეგიონების დონეზე მოქმედი ფაქტორები განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს, როგორც რეგიონების, აგრეთვე ქვეყნების მასშტაბით. ხოლო ის ფაქტორები, რომლებიც ყალიბდებიან მთელი ეროვნული მეურნეობის მასშტაბით, თავის მხრივ განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის პირობებს, როგორც მთელი ქვეყნის, აგრეთვე რეგიონების დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა, წარსული, აწყმო, პერსპექტივა მოკლე მიმოხილვა თბ. 2002 წ.
2. ბარათაშვილი ე. ზარანდია ჯ. „საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა" თბ. 2007წ.
3. ბარათაშვილი ე. გალახვარიძე ნ. გრძელიშვილი ნ. ნადარეიშვილი ნ. „რეგიონული ეკონომიკა" თბ. 2010წ.
4. ბროლია თ. სილაგაძე ა. ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა 21–ე საუკუნის მიჯნაზე. 2001წ.
5. მალაშხია გ. საქართველოს ეკონომიკა საუკუნის პანორამის შტრიხები თბ. 2002წ.
6. პაპავა ვლ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა თბ. 2002წ.
7. ყუფუნია გ. „საქართველოს ეკონომიკა" თბ. 2007წ.

ნოდარ გრძელიშვილი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი;
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;

ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი მიზეზები, ფაქტორები და წონასწორული მოდელი

რეზიუმე

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგნოზებისა და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის ხასიათის განმსაზღვრელი მიზეზებისა და ფაქტორების, მათ შორის არსებული ურთიერთკავშირის გათვალისწინება. ნათქვამია,რომ თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის წამყვან ფაქტორს წარმოადგენს ტექნიკური პროგრესი. განხილულია ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების მიწოდების, მოთხოვნისა და განაწილების ფაქტორები. აღნიშნულია, რომ ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წონასწორული ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის თანაბარზომიერ გადიდებას.

Nodar Grdzelishvili
David Agmashenebeli University of Georgia, Associate Professor
University of Business and Technology, Associate Professor

Reasons determining the economic growth, factors and Equilibrium model

Summary

This paper argues that during the elaboration of long-term forecasts of the socio economic development and effective economic policies, it is necessary to take into consideration the causes and factors of the economic growth, as well as the existing relationship among them. It is argued that the leading factor causing the economic growth in the modern world is the technical progress. Factors influencing the economic growth – supply, demand and distribution are analyzed. It is noted that in the economic theory and practice special attention is paid to the balanced economic growth, which implies equitable growth of supply and demand.

Nodar Grdzelishvili

David Agmashenebeli Université de Géorgie, professeur associé

Université de commerce et de technologie, professeur associé

Les raisons de la détermination de la croissance économique, des facteurs et du modèled'équilibre

Sommaire

Cet article soutientque, lors de l'élaboration de prévisions à long terme du développement socio-économique et des politiques économiques efficaces, ilfaut tenir compte des causes et des facteurs de la croissance économique, ainsique des relations existantes entre eux. On prétendque le principal facteur qui cause la croissance économiquedans le monde moderneest le progrès technique. Les facteurs influençant la croissance économique - l'offre, la demandeet la distribution sontanalysés. Ilest à noterquedans la théorie économique et la pratique, une attention particulièreest accordée à la croissance économique équilibrée, ce qui implique une croissance de l'offre et de la demande.

ავტორთა საყურადღებოდ:

ავტორთა თვალსაზრისი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციისას. რედაქცია პასუხს არ აგებს წარმოდგენილი მასალების სიზუსტეზე. იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით.

Notice to the authors:

The authors and the redaction may have different points of view.

რეგისტრირებულია თბილისის გლდანი-ნაძალადევის

რაიონულ სასამართლოში

რეგისტრაციის ნომერი – 1/9-68

Registred at Gldani-Nadzaladevi Regional Court of Tbilisi

Number of registration - 1/9-68

EAN 9771987830003

ტირაჟი 100